# ქართლოსი


საქართველოს ფაშისტური დარაზმულობა

KARTLOSSI — Organe du nationalisme intégral géorgien

რედაქტორი: — ვიკ. ნოზაძე — Paris, Février 1937. — Directeur Victor Nozadzé

N 1 — თებერვალი — N 1


## შინაარსი


დადგენილებანი
**შ. მაღლაკელიძე** — ქართლოსი
**ვიკ. ნოზაძე** — ჩვენს დებულებათა გამო
**კ. სალია** — საქართველოს ფაშისტური დარაზმულობა
პროფ. დრ. **ზანდერსი** — ევროპიული კონტინენტალ-პოლიტიკის განვითარებანი. ნათარგმანები ბეთანელისა
**ნიკ. დადიანი** — აკაკი წერეთლისა და გიორგი შარვაშიძის გამოუქვეყნებელი ლექსები.
**გრიგოლ რობაქიძე** — გიორგი შარვაშიძე
**ექ. თაყაიშვილი** — მიმართვა ქართ. ემიგრაციისადმი
**მ. დადიანი** — ლექსი
**ს. ბერეჟიანი** — გურიას (ლექსი)
**ივ. გახოკიძე** — „გეორგიკა“
**დ. მარჯანიშვილი** — „მხედარი“.
**ს. ბერეჟიანი** — ნიკოლა (რომანი)
ემიგრაციაში
საქართველოში


## მეთაურის დადგენილებანი:

1. პოლიტიკურ - საზოგადოებრივ და ტექნიკურ მოსაზრებათა გამო, 1937 წლის პირველი თებერვალიდან სახელწოდებას **„ეროვნული ერთობის დარაზმულობა თეთრი გიორგი“** ვცვლი ახალით: **„საქართველოს ფაშისტური დარაზმულობა“**.

2. 1936 წ. ოქტომბრის 18-ს „თეთრი გიორგის“ მეოთხე ყრილობის მიერ მიღებულ და დადასტურებული **„დებულებანი“** რჩებიან პროგრამად ბრძოლისა და მოღვაწეობისათვის **„საქართველოს ფაშისტური დარაზმულობისა“**.

3. „თეთრი გიორგის“ მესამე ყრილობის მიერ დარაზმულობის ორგანოებად აღიარებული კრებული „ორნატი“ და გაზეთი „თეთრი გიორგი“ 1937 წ. 1 თებერვალიდან დახურულია.

4. 1937 წ. - თებერვალიდან საქართველოს ფაშისტური დარაზმულობის ორგანოა **„ქართლოსი“**

საქართველოს ფაშისტური დარაზმულობის მეთაური

შალვა მაღლაკელიძე

1937 წ. იანვრის 30. პარიზი.

## ქართლოსი

თითოული ერის წარმოშობის საკითხი წყვდიადითაა მოცული და ეგებისობის სფეროში ტრიალებს; მაგრამ რამდენადაც ისტორიული წერილობითი საბუთები მოიპოვება, — ცხადჰყოფს, რომ ძველთა ქართველთა მოსახლეობა აზია - ევროპის არეს ჰფარავდა, უდიდეს და უფართოეს სამკვიდრებელსა ჰფლობდა.

უუძველეს ტრადიციულ გარდმოცემათა მიხედვით, — იბერები (ქართველები, ბასკები) არიან ნოეს შვილის იაფეტის შთამომავალნი და მათმა მემკვიდრეობამ დაჰფარა აზია - ევროპის სივრცენი.

დიდი გეოგრაფოსი და ნავოსანი, სპარსეთის იმპერიის ბატონის დარიუს პირველის თანამედროვე, 500 წელში ქრისტეს წინ, სკილაქსი ამბობს, რომ იბერელები (ივერიელნი) ევროპის პირველი მოსახლენი იყვნენო.

არსებობს კიდევ მეორე ცნობა, რომ 465 წ. ქრისტეს წინ იბერელები ცხოვრობდენ შავიზღვის ჩრდილოეთით, ახლანდელ ბალტიის მხარეშიც და მათი მოსახლეობა ინდოეთამდეც აღწევდაო.

60 წლის წინად ქრისტემდე, ისტორიკოსი იოსები სწერდა, რომ თუბალის შვილის (ანუ იაფეტის შვილიშვილის) შთამომავალნი ესე იგი იბერელნი ცხოვრობენ მცირე - აზია — კავკასიაში, მდინარე ტანაის (დონის) არეზე, აზოვის ზღვის ნაპირებზეო.

წმიდა იერემია, სამი საუკუნის შემდეგ, ადასტურებს იოსების ცნობას და ამბობს, რომ იაფეტისა და თუბალის შთამომავალნი — იბერელები — ბინადრობენ მთელს სამხრეთ ევროპაში კადიქსამდეო (ისპანეთი).

ხომ უფრო ცნობილია განთქმული ჰეროდოტეს ნაწერი კავკასიის იბერიისა და ჰეკატე მილეთელის — ისპანეთის იბერიის შესახებ!

დენის აფრიკელი მეოთხე საუკუნეში ქრისტეს წინ, იძლევა ცნობას, რომ იბერელები ისპანეთში ცხოვრობენო.

სახელოვანი ისტორიკოსი ტაციტი (55 — 120წ. ქ. შ.) ადასტურებს სკილაქსის ცნობას და სწერს, რომ იბერელებმა ალბანელებთან ერთად სარმატები გაანადგურეს და იბერელები ბალტიკაში, შავიზღვის ნაპირებზე და აგრეთვე კავკასიაში სახლობენო,

ისტორიკოსები მინუციუს ფელიქს, ტერტულ მალვენდა, თეოდოსის კოდექსი და სხ. ამტკიცებენ, რომ იბერთა შთამომავალნი — ბასკები — სამხრეთ საფრანგეთში და ესპანეთში მკვიდრობენო.

ეს მცირე ცნობებიც აშკარად ჰყოფს, რომ იბერელთა მოსახლეობას ეპყრა აზია - ევროპის უმთავრესი ადგილები, მაგრამ შემდეგ, ისტორია იუწყება, ჩრდილოეთიდან მოწოლილმა ხალხებმა გადალეკეს იბერთა მოსახლეობანი და მათგან დარჩენ მხოლოდ ბასკები, რომელნიც ამ ჟამად ესპანეთში ცხოვრობენ, და იბერელები — ივერიელნი — ქართველები, რომელნიც კავკასიაში ბინადრობენ.

ქართული მატიანე იბერელებს არ იცნობს, როგორც არ იცნობს გეორგიელებს (ჟორჟის), მაგრამ ქართველთა და იბერთა ერთიგივეობა მეცნიერებისათვის დღეს საეჭვო აღარ არის.

ქართულ მატიანეს ქართთა ანუ ქართველთა წარმოშობის შესახებ თავისი პოლიტიკური მითოსი და ეტიოლოგია აქვს, რომლის მიხედვით ყველა კავკასიელის საერთო მამამთავარი იყო — თარგამოს — (ბიბლიის თოგარმაჰ), ხოლო ქართველთა მამამთავარი კი იყო — ქართლოსი ანუ როგორც „ქართლის ცხოვრება“ გადმოგვცემს: — „ხოლო შვილთაგან თარგამოსისთა გამოჩნდეს კაცნი რვანი, გმირნი ძლიერნი და სახელოვანნი“, — და მათ შორის — ქართლოსი.

„ხოლო აქათ-გან ჰიწყოთ და წარმოვთქვათ ჰამბავი ქართლოსისა და ნათესავისა მათისა“...

ესე ქართლოსი მოვიდა პირველად ადგილსა-მას სადა შეერთვის არაგვი მტკვარსა... და განვიდა მთასა ზედა, რომელსა ეწოდების არმაზი და პირველად შექმნა სიმაგრენი მასზედა და იშენა მუნ-ზედა სახლი, და უწოდა მთასა-მას სახელი თავისა თვისისა ქართლი, და ვიდრე აღმართებამდე მუნ ზედა არმაზისი ერქვა მთასა-მას ქართლი, და მის გამო ეწოდა ყოველსა ქართლსა ქართლი“..., ხოლო აქედან კი წარმოიშვა სიტყვა საქართველო...

ამგვარად: ამ ცნობათა მიხედვით, ქართველთა მამამთავარი იყო ქართლოსი.

ესაა სიმბოლო ქართულის წარმოშობისა;

ესაა სიმბოლო ქართულის სისხლისა და კულტურისა;

ესაა სიმბოლო ქართულის რასისა და მისი სიმტკიცე-მარადისობისა;

ესაა სიმბოლო ქართვლის სიდიადისა და იმ როლისა, რომელიც გეოპოლიტიკურად ძველს ივერიას — იბერიას — საქართველოს მინიჭებული აქვს;

ესაა სიმბოლო იმ როლისა, რომელიც ჩვენს ერს დაეკისრა მცირე აზიის ასპარეზზე, სადაც მას ძლიერების ხანაში დიდი ადგილი ეკავა.

და როგორც „ქართლის ცხოვრება“ ამბობს ისტორიის გარიჟრაჟზე —

„აწ შეწევნითა ღვთისა დამბადებელისათა ვიყვნეთ არა-ვისა მონა და არა-ვის ვმსახუროთ, თვინიერ ღვთისა დამბადებელისათა“... ჩვენც, ქართლოსიანთ, ეს გვავალდებულებს ვიმოღვაწოთ და ვიბრძოლოთ არამც თუ მარტო სამშობლოს განთავისუფლებისათვის, არამედ დიდი და დიადი საქართველოს შექმნისათვისაც.

შ. მაღლაკელიძე

## ჩვენს დებულებათა გამო

ჩვენმა საპროგრამო დებულებებმა ქართულ საზოგადოებაში დიდი გამოძახილი ჰპოვა და მითქმა-მოთქმაც გამოიწვია. ვინ რას არ ამბობს! ზოგი ფიქრობს, ჩვენ მიერ გადადგმული ნაბიჯი ნაკარნახევიაო; ზოგი ფიქრობს, ჩვენ გვსურდა თავი გვეხსნა ორგანიზაციაში მომხდარი განხეთქილებისაგან; ზოგი ფიქრობს, ჩვენი ნაბიჯი იყო ნაჩქარევი და უნდა მოგვეცადა, სანამ საამისო პირობები მომწიფდებოდა; ზოგი ფიქრობს, პროგრამა სულაც არ იყო საჭირო, მარტო სამეფოს კითხვა უნდა დაგვესვათო და სხვა. ყველაფერს ამას ფიქრობს და ამბობს ის ხალხი, რომელიც ჩვენ თანაგვიგრძნობს და ზურგს გვიმაგრებს. შევჩერდეთ გაკვრით ამ მოსაზრებებზე.

პირველად ყოვლისა იმის საკითხი: — მართლა ნაჩქარევი იყო ჩვენს მიერ საქართველოს სამეფოს საკითხის დღიურ წესრიგში დასმა? — არა, არ იყო ნაჩქარევი.

ჩვენ ვფიქრობთ, იგი მეტად დაგვიანებულიც არის.

ასოცდაცამეტი წელიწადი ის ხანაა, რომლის განმავლობაში საქართველო რუსეთის ბატონობაში იმყოფება. ამ ხანის გასწრივ საქართველო მრავალ გრიგალს გადაურჩა, მრავალი უბედობა გამოსცადა; ამ ხანის სიგრძეზე მის ცხოვრებაში მრავალი ცდა იყო და სხვა და სხვა პოლიტიკური მისწრაფებისათვის ფეხის მოკიდების მოშინჯვაც; მაგრამ არც ერთი ეროვნული ნააზრევი და ნაცადი არა ყოფილა საქართველოს სამეფოს აღდგენისაკენ მიმართული; მას შემდეგ რაც დასცხრა ბატონიშვილთა ბრძოლის ყიჟინა, მხოლოდ მწერლობაში თუ გაისმოდა გალობა ძველ დიდებაზე და ხსენება ძველ გმირთა; პოლიტიკაში სუფევდა სიჩუმე ამ საკითხზე! ეს დუმილი მხოლოდ ერთხელ დაარღვიეს, როდესაც რუსეთთან „შეერთების“ ასი წლის დღესასწაულს იხდიდენ.

მაშინ (1901 წ. სექტემბრის 4-ს) გამოცემულ იქმნა ტფილისში პროკლამაცია, სადაც პირველად იყო ნათქვამი, რომ

„ქართველები დასტირიან თავიანთ მეფეებს, რომელნიც რუსეთის მთავრობის მიერ განდევნილ იქმნენ ოსმალეთში და იქ იღუპებოდენ; ქართველები დასტირიან თავიანთ პოლიტიკურ დამოუკიდებლობას, რომელიც მოღალატურად მას ამ (რუსეთის) ხელისუფლებამ“... წაართვა. — ეს ხმა დარჩა გრძელად ჩამოჭრილ ფურცლებზე და მისწყდა.

იმ ხანად იწყება ქართულ ასპარეზზე ფიცხელი პოლიტიკური ცხოვრება და სამოქმედო არეს სოციალისტები ეპატრონებიან, — მათთვის, ცხადია, დამოუკიდებლობისა და სამეფოს საკითხი არ არსებობდა...

იმ ხანადვე შეიქმნა ავტონომისტური მოძრაობა და შემდეგში მცირე ჯგუფმა ხელი დაავლო ერეკლე მეფისა და ეკატერინე მეორის შორის დადებულ ხელშეკრულების, კონტრაქტატს, და მოითხოვა მისი განაღდება.

ეს მოხდა 1907 წ. ივნისის 26-ს, როდესაც ჰააგის კონფერენცია გაიხსნა. ესაა „ქართველი ხალხის პეტიცია სა-

ერთაშორისო საზავო კონფერენციისადმი“. ამ აღნიშნულ საბუთში ავტორნი ამბობდენ: —

„სამართალისა და საერთაშორისო კანონის სახელით, ჩვენ, ერთი უუძველესი დამოუკიდებელი ქრისტიანული სამეფოის, საქართველოს მოქალაქენი, მივმართავთ განათლებულ ევროპის ერებს, მათი დელეგატების სახით“...

„ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი ხმა გამოიწვევს თქვენს ყურადღებასა და თანაგრძნობას, თუ ჩვენ გადმოგცემთ ჩვენს სამართლიანს და ლეგალურ მოთხოვნილებათ რუსეთის იმპერიული მთავრობის მიმართ იმ საერთაშორისო ხელშეკრულების ლოიალური დაცვის შესახებ, რომელიც დაიდო დამოუკიდებელ საქართველოსა და რუსეთის იმპერიული მთავრობის შორის და დამტკიცებულ იქმნა ორივე მხრივ, და სისტემატიურად დარღვეული უკანასკნელის მიერ“-ო.

ავტორები ჩამოთვლიან რა საქართველოს უფლებებს და რუსეთის მიერ მათ გათელვას, მოითხოვენ: —

„რომ ჩვენი უფლებანი აღდგენილ იქნებიან 1783 წლის ხელშეკრულების თანახმად, რომელიც გარანტიას იძლევა ჩვენი ტერიტორიის მთლიანობისათვის და ეროვნულ ავტონომიისათვის რუსეთის იმპერიის მფარველობაში“..

ავტორები ამბობენ, რომ ამ „პეტიციამ“ კონგრესის დელეგატებზე შთაბეჭდილება მოახდინაო, მაგრამ, როგორც ვიცით, მას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია და იმ ხანად არც მოჰყვებოდა. აღსანიშნავია მხოლოდ, რომ აქაც კი, უცხოეთის თავისუფალ პირობებში, ვერავინ გაბედა ეთქვა სიტყვა მართალი და სწორი საქართველოს სამეფოს სრული აღდგენისა და დამოუკიდებლობის შესახებ. საქართველოს სამეფოს საკითხი თითქო სამუდამოდ დაკარგულ - დამარხული იყო და აზრათაც არავის არ მოსდიოდა მისთვის პროპაგანდის გაწევის სურვილიც კი. ამ დუმილში განვლო ცამეტმა ათეულმა წელმა და ნუ თუ დღეს ნაჩქარევია მასზე ითქვას სიტყვა ომეხიანი და გადადგმულ იქმნას მტკიცე ნაბიჯი მის მოსაპოვებლად? დაგვიანებულია კიდეც, მაგრამ ჩვენ გვჯერა, რომ ეს დაგვიანებაც ჩვენს სასარგებლოდ და ჩვენი ნაბიჯის განსამტკიცებლად მოქმედებს.

მართლაც მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო იყო სამეფო, — და იგი მოჰკლა რუსეთმა. ჩვენი დღევანდელი ვალია მის აღდგენაზე და აღდგომაზე ვიზრუნოთ. ეს ძველი მტერი ამჟამად წითელ ქურქში გახვეული, თვით სდგას სიკვდილის საფრთხის წინაშე, მას აუცილებელი სიკვდილი მოელის და ეს წუთი არც ისე შორს უნდა იყოს. აქედან ცხადია, ჩვენ მიერ საქართველოს სამეფოს აღდგენის საკითხის დასმა არც ნაკარნახევია „ვილაცასაგან“ და არც გამოწვეულია „თეთრი გიორგის“ დარაზმულობაში მომხდარი განხეთქილებით...

საქართველოს სამეფოს აღდგენის საკითხს ჩვენ დიდი ხანია დავფოფინებდით და ვქადაგებდით და ჩვენ ბედნიერი ვიყავით, ოდეს თეთრი გიორგის მეოთხე ყრილობამ იგი ერთხმად დაადასტურა და თამამად გადასდგა ეს ნაბიჯი: — გამოცხადდა საქართველოს სამეფოს აღდგენის აუცილებლობა;

ჩვენ ღრმადა გვრწამს, რომ ქართველ ერს სამეფოს პირობებში საშუალება ექნება სრული გაზრდისა, განვითარებისა, განმტკიცებისა და ბედნიერებისა; რომ სამეფოს პირობებში იგი იქნება ძლიერი და მყარი შინაგანი და საგარეო მიმართულების გზაზე; რომ ქართულ სამეფოს მიენიჭება იგივე საქმე და სახელი, რომელიც მას გეოპოლიტიკურად წარსულში ეკუთვნოდა და დღესაც უნდა ეკუთვნოდეს; რომ ეროვნულ ერთობაზე აგებული სამეფო იქნება ქართველი ერის განსრულოვნებისა და სიდიადის დავირგვინება; ამიტომ და მრავალ სხვა საბუთის მიხედვით ვარდგენთ საქართველოს სამეფოს აღდგენის საკითხს.

მაგრამ საქართველოს სამეფოს აღდგენის მოთხოვნაზე ლაპარაკი და არაფერის თქმა, — თუ რას ვგულისხმობთ მით, — დიდი ზიანი იქნებოდა თვით ამ იდეისათვის, ვინაიდან სამეფოს აღორძინებასთან, მის რესტავრაციასთან დაკავშირებული შეიძლება ყოფილიყო ბევრი ისეთი რამ, რაც ახლა უკვე დრო-მოჭმულია და სამუდამოდ ისტორიისათვის ჩაბარებული. ესაა ის სოციალ-პოლიტიკური და ეკონომიური წყობა, რომელიც დღეს აღარსად არსებობს და გარდასულია; ამიტომ საქართველოს ახალ სამეფოს სჭირდება ახალი შინაარსი, ახალი წყობა ეკონომიურ და სოციალ-პოლიტიკურ დარგში.

რადგანაც ჩვენ ვართ ინტეგრალური ნაციონალიზმის მქადაგებელნი და დამცველნი, ვართ ქართველი ფაშისტები, ქართულ სამეფოსაც ფაშისტურ შინაარსს ვაძლევთ და მივცემთ.

საქართველოს ფაშისტური სამეფო — აი ჩვენი მიზანი და ეს მიზანი საკმაოდ არის ჩვენს საპროგრამო დებულებებში აღნუსხული; ვისაც გაგების უნარი და სურვილი აქვს, მას გაიგებს და დაგვეთანხმება, რომ ჩვენი გზა არის მართალი და სწორი; იგი არ არის არც მართალი და არც სწორი მათთვის, ვინც ჩვენ გვებრძვის, და გვებრძვის ძალიან ბევრი, მაგრამ მათ შესახებ სიტყვა შემდეგისათვის იყოს.

ვიკ. ნოზაძე

---

**საქართველოს ფაშისტური დარაზმულობის მიზანია: ვანთავისუფლებული საქართველო შეიქმნას ეროვნულ სახელმწიფოდ, რომელიც დამყარებული იქნება ფაშიზმის ანუ ეროვნული ერთობის საფუძველზე და განმსჭვალული ქართული ეროვნული სულის ბრწყინვალე ტრადიციებითა და ქართული ისტორიის იდეალებით.**

---

**მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო იყო სამეფო. მე-19 საუკუნის დასაწყისს რუსეთის უხეში ძალადობით შეწყვეტილ იქმნა ქართველი ერის ისტორიის ბუნებრივი სვლა. კვლავ უნდა აღსდგეს საქართველოს სამეფო, რომლის მკვიდრი ტრადიცია ქართველი ერის მრავალსაუკუნოვან საძირკველზეა აგებული.**

---

**ქართველი მეფე, ეროვნულ ერთობაზე ანუ ფაშიზმზე დაურდნობილი, ერის უზენაესი გამომხატველია.**

**ფაშიზმი ანუ ეროვნული ერთობა გულისხმობს, რომ საქართველოს ხელისუფლება იქნება ერთი, მტკიცე, ურყევი და ზეკლასობრივი. ყველა ქართველი თანასწორ - უფლებიანი და თანასწორ - მოვალეობიანია.**

---

## საქართველოს ფაშისტური დარაზმულობა

რაც დრო გადის, მით უფრო გარკვეულად ორ ბანაკად იყოფა მსოფლიო. ერთ მხარეზეა კომუნიზმი — ცივილიზაციისა და ერთა გამანადგურებელი ანარქიული მოძღვრება, — მის წინააღმდეგ აღმართულია ფაშიზმი, წესიერების, შემოქმედებისა და აღორძინების უდიდესი მოვლენა მთელი თავისი სიმძლავრით და მათ შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა სწარმოებს.

საშუალო ლიბერალურ - დემოკრატიული მიმდინარეობა, რომელიც თავის დროზე დადებითი მოვლენა იყო, სავსებით გაკოტრდა და სრულებით არ ეგუება თანამედროვე ცხოვრების ვითარებას. სახელმწიფოს ავტორიტეტის დაცემა, მუდმივი კრიზისები, კომუნისტურ ანტი-ეროვნულ იდეათა განვითარებისათვის ხელის შეწყობა, საზოგადოებრივი სხეულის დასნეულება და რღვევა, — აი რა ახასიათებს დაძველებულ დემოკრატიულ სისტემას.

ერთა გადარჩენისა და ცივილიზაციის დამხსნელი როლი ფაშიზმმა, ნაციონალსოციალიზმმა იკისრა. წითელი სენის წინააღმდეგ სხვა ძალა არ არსებობს.

ფაშიზმი, ეს მეოცე საუკუნის ძლევამოსილი ეროვნული ფაქტორი, როგორც უაღრესად სოციალური მოვლენა, გადამწყვეტი დიდ და მძიმე სოციალურ პრობლემათა, — დღეს სავსებით უნივერსალური მოვლენაა.

ყველგან, ყოველ ერში, რომელსაც კი თვითარსებობის შეგნება აქვს, არსებობს იგი სხვა და სხვა სახით და სხვა და სხვა ფორმით; სხვანაირად არც შეიძლება იყოს, რადგან ფაშიზმი უაღრესად ეროვნული მოვლენაა და ყოველ ერს თავისი განსაკუთრებული თვისებები და პირობები აქვს; მაგრამ ძირითადი პრინციპები ყველგან ერთია და უცვლელი.

ჩვენ მივიღეთ აშკარად ფაშისტური დარაზმულობის სახელწოდება იმიტომ, რომ სხვა სახელი, როგორიც არის ეროვნული ერთობა, პატრიოტთა დარაზმულობა და სხვა — ვერც ერთი ვერ გამოხატავს ჩვენი მოძრაობის ნამდვილ შინაარსს და ამ სახელებში არა სჩანს უმთავრესი ფაქტორი თანამედროვე ნაციონალიზმისა — სოციალური მხარე.

როდესაც ჩვენ ვამბობთ, რომ ვეკუთვნით ნაციონალისტურ ორგანიზაციას, ეროვნულ დარაზმულობას ან პატრიოტთა კავშირს, ეს გასაგები არ არის, თუ რომელი პოლიტიკური - სოციალური შინაარსი ახასიათებს ამ ორგანიზაციებს, ყოველთვის საჭირო ხდება განმარტების მიცემა; მაშინ, როდესაც ჩვენ ვამბობთ, რომ ვეკუთვნით საქართველოს ფაშისტურ დარაზმულობას, აქ თვით სახელწოდებაში ყველასათვის გასაგებად მოცემულია მოძრაობის შინაარსი, რადგან ფაშიზმი დღეს მსოფლიოში ცნობილი, სრულიად ჩამოყალიბებული პოლიტიკური სოციალური მოძღვრებაა.

საქართველოშიც კარგად იცნობენ ფაშიზმს, ვინაიდან მის პოპულიარიზაციას დიდ სამსახურს უწევენ ძალაუნებურად თვით კომუნისტები. არ არსებობს არც ერთი ქართული თუ რუსული კომუნისტური გაზეთი, რომელშიც არ იყოს ფაშიზმის ლანძღვა-გინება და მის საფრთხეზე ლაპარაკი. ამნაირად ხალხი აშკარად ხედავს კომუნიზმის მოპირდაპირე ძალათ ფაშიზმს და ბოლშევიზმისა და რუსეთის მოწინააღმდეგენი ხსნას მისგან მოელიან, იდუმალად ფაშიზმს ეტრფიან.

მართალია, ჩვენ ფაშისტები ვართ, მაგრამ ეს ამას კი არ ნიშნავს, რომ ჩვენ გვინდოდეს უცვლელად იტალიური ფაშიზმი ან გერმანული ნაციონალ-სოციალიზმი გადავიტანოთ საქართველოში. ფაშიზმს ჩვენ გადავენერგავთ, — როგორც ეს ჩვენს საპროგრამო დებულებებშია აღნიშნული — ქართულ მიწაწყალზე და დავუქვემდებარებთ მის მთავარ პრინციპებს ჩვენი ქვეყნის სინამდვილეს და არა წინაუკმო, როგორც ამას სჩადიოდენ ჩვენი მენშევიკები და დღეს განაგრძობენ ბოლშევიკები, რომელნიც ერის ცხოვრებას მარქსისტულ პროგრამას უქვემდებარებენ.

ჩვენს სამეფოში ქართველი მუსოლინი ან ჰიტლერი ჩვენ ქართულ ქულაჯაში გვრწამს და ფაშისტურ სახელმწიფოს წარმართვა წარმოგვიდგენია მხოლოდ ჩვენი ერის ისტორიულ - სულიერ და მატერიალურ თვისებათა მიხედვით.

მომავალ ქართულ ფაშისტურ სახელმწიფოს ფუძედ იქნება ჩვენი ისტორია და საუკუნეთა განმავლობაში ქართული გენიით დაგროვილი ეროვნული კულტურა.

ჩვენი დარაზმულობა მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს საქართველოში ფაშისტური იდეების განმტკიცებას და ქართულ ფაშიზმზე დამყარებული, ჩვენი ისტორიის საუკეთესო ტრადიციათა და იდეალთა მატარებელ საქართველოს სამეფოს აღდგენას.

კ. სალია

## ევროპიული კონტინენტალ - პოლიტიკის განვითარებანი

### 1. იაზონის მემკვიდრეობის გარშემო

ნაციონალ-სოციალისტურ მთავარ გაზეთ „ფოელკიშერ ბეობახტერ"-ის ნომრებში მოთავსებულია ზემოაღნიშნული სათაურით მთელი რიგი წერილებისა, რომელიც ჩვენ წინმბრძოლს პროფ. ზანდერსს ეკუთვნის. როგორც მკითხველი თვით ნახავს, წერილები არის მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანი აგრეთვე ქართული პოლიტიკის თვალსაზრისითაც. ამ წერილებს ყურადღება მიაქცია არა მარტო ბოლშევიკურმა პრესამ, არამედ პოლიტიკურმა კაბინეტებმაც; განსაკუთრებული კრიტიკა მიუძღვნა მათ „პრავდამ" და იზვესტიამ", რომელნიც ჩვეულებრივი ბოლშევიკური ლანძღვით გაუმასპინძლდენ „ფაშისტურ პროფესორს".

ჩვენ მიზნადა გვაქვს ჩვენს მკითხველთ გავაცნოთ დრ. ზანდერსის წერილთა მოკლე შინაარსი, რათა საერთო წარმოდგენა ვიქონიოთ იმ დიდ საკითხებზე, რომელიც გერმანიის პოლიტიკას წინ უდგას და კავკასია-საქართველოსაც ეხება...

აღნიშნულ წერილებს განმარტებისათვის დართული

აქვს ისტორიული რუკანი, რომელთაც ჩვენ, სამწუხაროდ, ვერ ვათავსებთ.

ერთა შორის დავა, იწყებს დრ. ზანდერსი თავის პირველ წერილს, ყოველთვის კულტურულ-პოლიტიკური, ხალხური და ეკონომიური ძალებით არის გამოწვეული. ამის შედეგად ჩვენ ვხედავთ ისტორიაში დიდ სახელმწიფოთა ან სახელმწიფოთა სისტემის განმტკიცებას; ამაში მნიშვნელოვან როლს მდინარეთა გზები თამაშობდა. ზღვათა და მდინარეთა სისტემები ხალხთა დაახლოვების საშუალება იყო. ევროპის სახელმწიფოთა და კულტურ. ცხოვრების განვითარების თვალსაზრისით, მდინარეთა სამი სისტემაა ერთი მეორესაგან გასარჩევი: 1. ჩრდილო ზღვა, აღმოსავლეთის ზღვა, შავი ზღვა, კასპიის ზღვა, ხმელთა შუა ზღვა და მათნი მდინარენი. მათ გარშემო ვხედავთ ევროპის ხალხებს და მათი კულტურის განვითარებას — დაწყებული ჰელენიზმიდან დღემდე. ეს მხარე დაკავშირებული იყო ირანულ — ჰინდურ და შორეულ ამოსავლეთის (იაპონურ და ჩინურ) სამეურნეო და კულტურულ წრესთან. 2. მე-15 საუკუნის დასასრულს აღმოჩენილი იქმნა ამერიკის კონტინენტი; ამან გამოიწვია ევროპის ცხოვრების ცვლილება; ატლანტიკური ოკეანე გახდა შემაერთებელი ზღვა. 3. უახლესი განვითარება ხალხთა ცხოვრებისა, განსკუთრებით ამერიკისა, აზია და ავსტრალიის შორის ჰქმნის წყნარ (პასიფიკის) ოკეანეს მესამე დიდ ხიდათ; ჩვენ აქ პირველ რიგში ყურადღებას ვაქცევთ იმ ამბებს, რომელიც ევროპიულ სივრცეზე მოხდა.

სუმერელების, რომელთა უდიდესი კულტურის ნაშთები გვიჩვენებენ, რომ ისინი ალბად მეტად შორეულ წარსულში ინდო-გერმანულ ნათესავთაგან ჩამოშორებული იყვნენ, თუ საერთოდ ისინი თვით არ იყვნენ ინდოგერმანული შთამამავლობისა. შესანიშნავმა კულტურამ ზეგავლენა მოახდინა და გაანაყოფიერა შემდეგი კულტურის ფორმები ირანულ და მეზობელ (აგრეთვე ევროპიულ) სივრცეზე; მეტად მჭიდროდ უნდა ყოფილიყვნენ დაკავშირებული სუმერული და ხეთური კულტურანი. ორივე ეს მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო ჰელინური კულტურისათვის; ხეთების სამეფო წარმოიშვა სუმერთა იმპერიის ერთი პროვინციისაგან; კულტურულად მაღლად მდგომი ამ სახელმწიფოს გაფურჩქვნა ქრისტეს წინად მეორე ათასი წლის პირველ საუკუნეებს ეკუთვნის. კოლხებმაც, რომელნიც ხეთების ჩრდილოეთ სივრცეზე ბინადრობდენ, შეჰქმნეს თავისი სახელმწიფო სუმერების იმპერიაში. კაპადოკიაში ნაპოვნი საბუთებიდან სჩანს, რომ შავიზღვის ნაპირზე, კოლხეთში, მრავალი ვერცხლისა და სპილენძის ბუდობები მუშავდებოდა; აქედან ეს ლითონი ყოველმხრივ იგზავნებოდა; ამ ლითონიდან აკეთებდენ სუმერელები თავის ფულს (მეშვიდე საუკუნეში ქრისტეს წინ); ორივ სახელმწიფო (ხეთებისა და კოლხების) საბერძნეთთან მჭიდრო ურთიერთობაში უნდა ყოფილიყო.

ჰელინიზმში ვხედავთ ახლანდელი ევროპის სარკეს და პირიქით. ყველა იცნობს კლასიკურ საბერძნეთს მე-7, 6, 5, 4 საუკუნისას; მაგრამ განსაკუთრებით საინტერესო არის წინარკლასიკური საბერძნეთი ილიადა — ოდისეისა, სადაც თანამედროვე კვლევათ მიხედვით, მითოლოგიური ფიგურები ისტორიულ პიროვნებებად გვევლინებიან.

ევროპის პირველი ფორმისა და შინაარსის ქმნა უეჭველად ელინური მსოფლიოს მუშაობის შედეგია; იგივე იძლევა პირველ ხაზებს ევროპიულ კონტინენტალვე პოლიტიკისას. ბერძენთა წადილი და მისწრაფება გამოხატულია არგონავტების მითოსში და მათ მეთაურ იაზონ-ში. მათი მიზანი იყო კოლხეთიდან (კავკასია) ოქრო გამოეტანათ. იაზონმა შეირთო კოლხეთის მეფის ასული — მედეა და წამოიღო ოქრო. გაჯავრებული კოლხეთის მეფე აეტესი გამოეკიდა იაზონს და გადაუკეტა გზა ბოსფორისაკენ (დარდანელის საკითხის სამეურნეო და სამხედრო-პოლიტიკური მნიშვნელობა!); იაზონი დაუძვრა კოლხებს ისტერ-ზე (დონ - მაინ - რაინ -ის პრობლემა); იგი მოგზაურობს ირგვლივ (ატლანტიკური ოკეანე) და მოდის შინ, საბერძნეთში, ჰერკულესის კარების გავლით (გიბრალტარი); არგონავტთა მითოსის მცოდნენი ამტკიცებენ, რომ მათი ექსპედიციის სარჩული იყო რეალური სავაჭრო-პოლიტიკური მოსაზრებები. ელინისტური მსოფლიოს სავაჭრო გზა შორეული აღმოსავლეთისაკენ, ირან და ინდოეთისაკენ გადიოდა კავკასიაზე (კოლხეთი — იბერია) მდინარე ფაზისის ანუ რიონის და კვიროსის (მტკვარი, კურა) გასწრივ კასპიის ზღვისაკენ. კოლხეთში მოდიოდენ ბერძნები, რათა კავკასიის და აზიის საქონელი შეეძინათ და თავისი გაესაღებინათ; ბერძნებს საქონელი აქედან გაჰქონდათ ირანს, ინდოეთს და შორეულ აღმოსავლეთს. პირველ ათასეულ წლებში ქრისტეს წინ ბერძნული ფაქტორიები და კოლონიები დაარსებულ იქმნენ შავი ზღვის ნაპირებზე. ასეთი ახალშენები შავიზღვის ჩრდილო ნაპირზე დასაყრდნობი იყვნენ ცენტრალ და ჩრდილო ევროპის და სკანდინავიასთან ურთიერთობისათვის მდინარეთა შემდეგი სისტემით — რაინ - მაინ - დონი და დვინა - დნეპრ ან ვოლხოვ - დნეპრ. ამგვარად ძველმა მსოფლიომ შეჰქმა ურთიერთობათა სისტემა, რომელიც დასავლეთ და ჩრდილო ევროპიდან დნეპრის სივრცეზე, შავი ზღვით, კავკასია ირანამდე, ინდოეთისაკენ და შორეულ აღმოსავლეთამდე აღწევდა. ეს. სისტემა წარმოადგენდა ევროპიული კონტინენტალ პოლიტიკის არსებით მხარეს.

ევროპიულ კონტინენტალ - პოლიტიკის ცნებას უპირდაპირდება ევროპიულ „ზღვისგაღმა პოლიტიკის“ მცნება; იგი იწყება მე-15 და მე-16 საუკუნის მიჯნაზე და ამერიკის აღმოჩენის შემდეგ პირველად მისი მნიშვნელობა იზრდება.

ბერძნების კოლონიები შავი ზღვის ჩრდილო ნაპირზე იყვნენ სავაჭრო ცენტრები შავიზღვის ჩრდილოეთით და დასავლეთ მხარეთა ვაჭართათვის, რომელნიც სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან მომავალ ვაჭრებს ხვდებოდენ. უკვე ქრისტეს წინ პირველ ათასეულში არგონავტების მითოსი ღებულობს რეალ ფორმებსა და შინაარსს. ეს არის ბერძნული კლასიციზმის ხანა. ამ ბერძნულ მოთხრობაში ორი ინიციატივა არის; ერთს წარმოადგენს კოლხი აეტესი და მეორეს ბერძენი იაზონი; მაგრამ ვერც კოლხებმა და ვერც ბერძნებმა მათ მიზანს ვერ მიაღწიეს. კოლხების პოლიტიკური თვალსაზრისი შემდეგში მედელებმა და სპარსელებმა შეითვისეს, ბერძნებისა კი — მაკედონელებმა.

მედელთა (მედიელნი) სახელმწიფოს დაარსება ხდება ბერძნული კლასიციზმის დროს. მედელთა და სპარსთა პოლიტიკური ძლიერების მნიშვნელობა იწყება დაახლოვებით 700 წელში ქრისტეს წინ. იმ საუკუნეში მედური ტომები ერთიანდებიან. სპარსელთა მეფე კიროსი იპყრობს მათ და აარსებს ძლიერ სპარსულ იმპერიას — 593 — 558 წ. ქრ. წინ; კიროს - დარიუსის ბატონობა აღწევდა ჩინეთსა და ინდოეთამდე. ზოგი მათი ნაწილიც შედიოდა სპარსულ იმპერიაში. კოლხეთისა და შავიზღვის ჩრდილო ნაპირით ეს ქვეყანა — სპარსეთი — ჩრდილოეთ და დასავლეთ ევროპას უკავშირდებოდა. დარიუსის მისწრაფება შორს მიდიოდა — შავიზღვის ჩრდილოეთისაკენ (ბრძოლები სკვითებთან) და ხმელთაშუაზღვისაკენ და იქით (ბრძოლები ბერძნებთან). ამ გეგმით დარიუსი შესდგა იმ გზაზე, რომელსაც იგი უნდა მიეყვანა ისეთ სახელმწიფოთა სისტემის შექმნისაკენ, რომელიც გადაჭიმული იქნებოდა დღევანდელი ევროპიდან ჩინეთ — ინდოეთამდე. სპარსული ფულის (დარიული, დარიკ - ის) ტრიალი უზარმაზარ სპარსეთის იმპერიას სცილდებოდა და შორს გადიოდა. კავკასიამ და შავმა ზღვამ გადააბა და დააკავშირა ეს სახელმწიფო ერთი მხრივ შავიზღვის მდინარეთა სისტემის ქვეყნებთან, მაშასადამე, შუა, ჩრდილო და აღმოსავლეთ ევროპასთან და მეორე მხრივ ხმელთაშუაზღვის მონაპირე ქვეყნებთან. ამასთან, სპარსეთის სახელმწიფოს ჰქონდა მჭიდრო ურთიერთობა აღმოსავლეთის ქვეყნებთან, იაპონია - ჩინურ და ჰინდურ მსოფლიოსთან.

მეოთხე საუკუნეში სპარსეთის იმპერია შესცვალა ალექსანდრე დიდის იმპერიამ. იმპერიის გული გადადის დასავლეთისაკენ. კიროს - დარიუსის სახელმწიფო თითქმის იგივე იყო, რაც ალექსანდრეს სახელმწიფო. იგი ისე ახალგაზრდა გარდაიცვალა, რომ თვისი წადილი ვერ შეასრულა და „იაზონის მემკვიდრეობა“ საბოლოოდ ვერ დაისაკუთრა. ალექსანდრეს სიკვდილის შემდეგ მისი იმპერია დანაწილდა, მაგრამ სამეურნეო და კულტურული ურთიერთობა იქ მაინც იგივე დარჩა. ამ მსოფლიოს გაგრძელებად შავიზღვის ჩრდილო ნაპირზე ჩაითვლება ელინური მონარქია ყირიმში (დედაქალაქი პონტიკაპაე — კერჩ) და აღმოსავლეთის ნაპირზე კოლხ - იბერელები, საიდანაც შემდეგ პონტოს სახელმწიფო მითრიდატისა წარმოიშვა. იმ ხანა'ში სელევკიდების სახელმწიფოს (ალექსანდრე დიდის მემკვიდრეთა) დასუსტებისას, დაიწყო რომის მსოფლიო ბატონობის ხანა (264 — 133). პერგამონის მეფე ატტალუსის სიკვდილის შემდეგ რომი ფეხს იკიდებს ანატოლიაში და თავის ბატონობას განავრცობს ალექსანდრე დიდის იმპერიაში. სულლას და პომპეიუსის გამარჯვებულმა ომებმა პონტის მეფე მითრიდატზე (88 - 63) და ივერიელთა მეფე არტაგზე (65 წ.) რომაულ სახელმწიფოს ურთიერთობის გზა გაუტკეპნა ცენტრალ აზია, შორეულ აღმოსავლეთ, ინდოეთისაკენ, სახელდობრ შემდეგი გზით: — შავიზღვა — კავკასია — კასპიისზღვა. ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ ევროპისაკენ მიმართულებისათვის კი რომმა დაიკავა შავიზღვის ჩრდილო ნაპირი. მაშასადამე, ქრისტეს წინ პირველ საუკუნეში ძველ ხაზზე კიროს — დარიუს — ალექსანდრე -დიდის პოლიტიკის ხაზზე — შესდგა რომი. იმპერიის გული დასავლეთით იყო გადატანილი და განვრცობილი. მაგრამ ირანულ სივრცეზე რომმა უშედეგოდ იბრძოლა. ალექსანდრეს შემდეგ ირანში წარმოიშვა პართელთა სახელმწიფო. რომელიც რომს წინააღმდეგობას უწევდა.

რომის იმპერიის დაცემამდე (180 — 395 წწ. ქრ. შემ). ევროპის სამხრეთმა ნაწილმა შექმნა ეს დიდი სახელმწიფო, (რომი) რომელიც შორ.-აღმოსავლეთთან და ინდოეთთან ხშირ სამეურნეო და კულტურულ დამოკიდებულებაში იყო. ჩრდილო და აღმოსავლეთი ევროპა, კავკასიასთან ერთად, ამ სამხრეთ სახელმწიფოსთან მჭიდრო ურთიერთობაშია და ამით ისინიც ინდოეთ — ცენტრალ აზია — და შორეულ აღმოსავლეთთან კულტურულ და მეურნულ საქონელთა გაცვლა - გამოცვლაში არიან.

ამგვარად უუძველესი დროიდან ევროპა გადაბმული იყო ინდოეთ — ცენტრალაზია — შორეულ აღმოსავლეთთან და სახელდობრ ხმელეთის (კონტინენტალურ) გზაზე მდინარეთა გზებით.

რევ. ბეთანელი

## აკაკი წერეთლისა და გიორგი შარვაშიძის

### გამოუქვეყნებელი ლექსები

შოთა როდესაც შაირობას ახასიათებს და კანონმდებლობს, ბრძანებს:

მესამე ლექსი კარგი არს სანადიმოდ, სამღერელად,
საამიკოდ, სალაღობოდ, ამხანაგთა სათრეველად...
ჩვენ მათიცა გვეამების რაცა ოდენ სთქვან ნათელად....

სჩანს წესი, საქართველოში დღემდე დარჩენილი, ერთმანეთთან მეგობრების შაირით გაბაასებისა „სალაღობოდ, სათრეველად“, ჯერ კიდევ შოთამდე ყოფილა შემოღებული.

აკაკის უყვარდა გაჯავრება თავისი მეგობრისა თუ ,მით უმეტეს, ეს მეგობარი მოშაირე იყო. არსებობს ზეპირი გადმოცემა აკაკის და სვიმონ გუგუნავას ერთმანეთში გაშაირებისა.

ქვემო გადმოცემული, ჯერ გამოუქვეყნებელი, აკაკისა და გიორგი შარვაშიძის ერთმანეთში ლექსით მიწერ-მოწერაში აკაკი აბხაზს გულმავიწყობას სწამებს და სვანზე — თათარხან დადეშქელიანზე — ამბობს: სვანის მეგობრობა არსად გაგონილაო. რა თქმა უნდა, ეს გასაჯავრებლად ხუმრობს, თორემ არც აბხაზს ავიწყდება მეგობარი და სვანმაც იცის მეგობრობა. თავის მხრივ გიორგი შარვაშიძეც აკაკის იმერულ მეჭორეობას სწამებს, მაგრამ, რასაკვირველია, ესეც ხუმრობით. ორივე ეს ლექსია ჩვენებური, მეგობრული ხუმრობით გაშაირების საინტერესო ნიმუში.

ნიკ. დადიანი

## ძვირფასს გიორგის

შენი ტკბილი საუბარი
მიყვარს, როგორც ქებათ-ქება,
შენი ნახვა ნერვებ-აშლილს
სამკურნალოდ შეერგება.
ეს შენც იცი, მაგრამ ძმაო,
ცოტას მოიაბხაზურებ,
ახალ-ახალს რომ მონახავ,
ძველებს აღარც კი უყურებ.
ეს არ არის მოსაწონი
გეფიცები ზენა არსსა,
ნათქვამია: ნუ დააგდებ
ძველს გზასა და მეგობარსა.
თათარხანიც ჩამოსულა,
მაგრამ ჩემთვის სად მოიცლის!?
დღე სძინავს და ღამე ლოთობს,
თამაშობს და ყანწებსა სცლის.
ჩემთვის სადღა დაურჩება
ან საღამო და ან დილა,
ესეც კია: მეგობრობა
სვანის არსად გაგონილა.

აკაკი

## პასუხი აკაკის

შენი ტკბილი მგოსნის ენა,
რა ხანია არ მსმენია,
ფულკარმაცა იცის კბენა,
მაგრამ თაფლის გამჩენია.
რაც უნდ მითხრა, მეგობარო,
მე შენს შაგირდს მაძლევს ლხენას,
რადგან ვიცი უკეთ ხარო,
მადლსა ვსწირავ ცას და ზენას.
მაგრამ შენსა მაღალ ნიჭსა
არ შეფერის უმართლობა,
მოჰყოლიხარ ცოტა ჭორსა,
მოგრევია იმერლობა.
სვანი ყანწით გადღეგრძელებს,
მე აბხაზი წრფელი გულით,
ვით სცოდნიათ ჩვენსა ძველებს
ძმობითა და სიყვარულით.

გიორგი შარვაშიძე

## გიორგი შარვაშიძე*

სოხუმის ნაპირები. გაზაფხულის ხალისი პირი. მზე ვაჟური სიუხვით აყრის მიწას ნაკვერცხლებს. ალმურის მარმაშით ლალდება ყოველი. ზღვის ფართო ზედაპირი ფირუზის ატლასით გადაშლილია. მისი ნელი მოსუნთქვა სიგრილით ეჭრის სიცხის სივარვარეს. ბუნება ზანტი თვლემით ნებივრობს. სიკვდილის ლანდი სირცხვილით მიმალულა სადღაც და უძირო საშოს წიაღით ამოხეთქილი ხალისობს წყაროსთვალა სიცოცხლე. ქუჩებზე უდარდელობა დასეირნობს. ყავახანებში ზოგი ნარდს თამაშობს, ზოგი ყალიანს ეწევა ოდნავ გაწოლილი, ზოგი უსაქმო მსმენელებს თქმულებას უყვება გმირულს. შორი-ახლო ტალღების შუილი გაისმის.

მთავარ ქუჩაზე მოდის ვინმე ცხენოსანი. უკან მცველი მოჰყვება, იგიც ცხენზე მჯდარი. ცხენოსანი ნამდვილი მხედარი: მოხდენილი ჯდომა, — თითქო ბძანებელია მგრძნობიარე ცხოველის, მაგრამ თითქო მას ძალას არც კი ატანს, — მარჯვე დაკავება სადავის, ხოლო, სრულიად თავისუფალი, — რიტმით მიშვება ცხენის სიარულის, გარნა არც თუ ძარღვებ-დაჭიმულობა მხედარის: — ყოველი, რაც რომ სამხედრო ჯიშს მემკვიდრეობით გადაუცია ადამიანისათვის. გამახსენდა არჩილ ჯორჯაძის სიტყვები: ქართველი ბელეტრისტისათვის ისიც არის საკმაო, რომ რომელიმე აბხაზის ცხენოსნობა ასწეროსო.

გადმოხტა. გავიცანი: გიორგი შარვაშიძე, შვილი აბხაზეთის უკანასკნელი მთავრისა. რა შესანიშნავად ადგას ჩოხა! ტანი მაღლად არის აყვანილი სილაღით კიდევ, — თუმცა ეტყობა ექვს ათეულს გადასცილებია. ასეთი მოხდენილი ჩაცმულობა არავიზე მინახავს საქართველოში: აქ იყო ესტეტიკა ოსკარ უალდის ყელსახვევისა: ქართული ყაიდა ჩაცმულობის მძაფრი სტილით ჩამოკვეთილი: სადა ძალზე და ამასთანავე რჩეული მეტად. დასხდა რესტორანის ღია ფარდულში. ჩვეული მუსაიფი ნაცნობებში. რაოდენი სიმაღლე და რაოდენი თავაზი. საოცარია მეტად ხმა: ნელი, ტკბილი, მელოდიური. კილოც ლამაზი, უცნაური ჯადოთი გაჟღენთილი. ხანდახან ოდნავი აცეცხლება, — ხოლო არც ისეთი, რომ ღია ფათოსში გადავიდეს. სიტყვასა და სიტყვას შუა ოდნავ ასახული ირონია მეგობრულის ტონით ამახვილებული. პაპიროზს აკეთებს: როგორი თლილი თითები: — მოქნილობა სინელეში და სინელე მოძრაობაში: ხელებზე რაღაც ნათელი ეფინება ჭვირვალი. ამართა სახე: — სილამაზე ივერიული; ხაზების სისწორე და სირბილე, სწორუპოვარი პროფილი: — აქაც სისადავე და რჩეულობა თან. მთელი საუკუნოებია საჭირო, რომ ბიოლოგიურმა შერჩევამ ასეთი სრული ტიპი წარმოშობოს. უბრალო მიმოხვრაც მოწმობს მისი, რომ მის გვარში ასი წლობით ყოფილა შეუცნობელი ფიქრი ბიოლოგიური რჩეულობისა. არაფერში ეტყობა ძალდატანება: მოძრაობა, თავისდაჭერა, სიარული, ბაასი — თავისუფალი მეტად და ამასთანავე ძალზე წარჩინებული. რაც უნდა მოიმოქმედოს, ყველაფერი ლამაზი გამოუვა, — გიელვებთ ფიქრი.

მეორე დღეს: სადილი ნ. თ — თან. გიორგი შარვაშიძეც იქ არის. ეხლა ევროპიულად ჩაცმული სტილით: მარტო ყელსახვევი რად ღირს? ნამდვილი ქართული სუფრა, ქართული სილამაზის ერთი საუკეთესო ხატება სუფრული ბაასი. მთავრის შვილის სიტყვა მოხდენილია ფრიად. იცის ევროპიული ენები: ფრანგული, ინგლისური, გერმანული, — განსაკუთრებით ფრანგული. ზედმიწევნით იცის რუსული, — რუსის სასახლესთან სიახლოვეც ჰქონდა. იცის ძვირფასად ქართული, აბხაზური, მეგრული.

---

*) აკაკის ქართული საზოგადოება კარგად იცნობს, ხოლო გიორგი შარვაშიძეს, სამწუხაროდ, ნაკლებად.

ჩვენ აქვე ვათავსებთ **გივი გოდლენდის** წერილს გ. შარვაშიძის შესახებ, რომელიც 1918 წ. გამოქვეყნდა ტფილისის ერთ ორგანოში. ეს ფსევდონიმი კარგა ხანია გახსნილია და წერილის ავტორია ჩვენი სახელოვანი ხელოვანი **გრიგოლ რობაქიძე**.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იღყვიან ლექსებს. მთავრის შვილი ოდნავი სიამაყით გადმოსძახებს: მე, რომელიც ალფრედ დე მიუსსესა და ვიქტორ ჰიუგოს ზეპირად წარმოვსთქვამ, მაინც და მაინც არაფერი გამაკვირვებს, — მაგრამ... და ღიმილით ათავებს ფრაზას. იგი თვითონ მწიგნობარია: რუსთაველი ზედმიწევნით იცის. თვითონაც სწერს: ლექსებს, პოემებს, დრამებს. მაგრამ ამაებში არ ეტყობა ბარბაროსული ძალაყრილობა: ეს მხოლოდ გასართობია მისთვის მხოლოდ, — თუმცა ისეთივე ლამაზი მოხდენილობით ალვივებული, როგორც ქორითა და შავარდენით ნადირობა, — რომელიც მას უყვარს ძალზე და შნოიანათაც ეხერხება.

ბაასის საგანი ხშირად საქართველოა. გაბედულება მისი საკითხის გადაწყვეტაში, არავითარი კომპრომისი, სრული თავისუფლება — აი მისი ფიქრის ხვეული. ხოლო აქაც ნელი, რბილი, აუღელვებელი. ხანდახან ოსმალეთსაც ჩააყენებს საქართველოს საკითხში, — და ეს იმ დროს, როცა თუთუნს მოსწევს: — საგანგებოდ უგზავნის სტამბოლიდან ერთი ოსმალო, არ შეუძლია: მისთვის ყველა საკითხი მნიშვნელოვანია, თუ მას სილამაზე ახლავს, ნამდვილი არისტოკრატია ( — ამ სიტყვის რჩეული მნიშვნელობით).

მესამე დღეს იმავ რესტორანის ფარდულში ვნახე, — ხოლო ეხლა უბრალო მწვანე „ბლუზით". მაგრამ ესეც რომ უხდებოდა! არა: ნამდვილი არისტოკრატობა ყველგან გამოჩნდება.

ამ დღეებში ამბავი მოვიდა მისი სიკვდილის: — მოგვშორდა ქართული რასის ნამდვილი ვაჟი.

გრიგოლ რობაქიძე

---

## მიმართვა ქართველ ემიგრაციისადმი

იყო დრო და ეს არც ისე დიდი ხანია, რაც ჩვენი ინტელიგენცია ერთობ გულგრილად უცქეროდა ქართულ საკულტურო ნაშთებს და თავს არ იწუხებდა მათი შეგროვებისა და გამოცემისათვის; ამ გულგრილობამ დიდძალი პირველ ხარისხოვანი ძეგლები დაგვიკარგა. რაც მამებს თავიანთ ძველ ოჯახებში დაგროვილი ჰქონდათ, შვილებმა დაკარგეს.

ამ ჟამად ჩვენდა საბედნიეროდ, იშვიათია ისეთი განათლებული ქართველი, რომელსაც არ შეეგნოს და რომელიც არ ცდილობდეს ქართულ ისტორიის და ლიტერატურის გაცნობას. ეროვნული მიმართულება თანდათან ღვივდება და ეს თავისთავად იწვევს ქართული კულტურის შესწავლას.

ქართული სულიერი, გონებრივი და მატერიალური კულტურა რთულია, მრავალ მხრივია და ბევრ რამეში მეტად თავისებურია; იშვიათია პატარა ერი, რომელსაც ასეთი მდიდარი ძველი კულტურა ჰქონდეს; ამ კულტურამ გადაარჩინა ქართველი ერი მოსპობას ჟამთა ვითარების აბობოქრებული ქარტეხილისაგან, მისცა უნარი სიმტკიცისა, გამძლეობისა და ყოველი ჭირის გადატანისა.

ვინც ამ კულტურას ასე თუ ისე არ იცნობს, ის არასოდეს არ იქნება ნამდვილი ქართველი, ჭეშმარიტად ქართული სულის მატარებელი; მას გადაგვარება მოელის, თუ უკვე გადაგვარებული არ არის. ამიტომ ყველა მოვალე ვართ, ხელი შეუწყოთ ჩვენი კულტურის საფუძვლიანად შესწავლას, რაც პირველ რიგში უნდა გამოიხატოს საკულტურო მასალების შეკრებაში და უკვე შეკრებილის გამოქვეყნებაში; უამისოდ ჩვენ ვერ აღვადგენთ ჩვენი კულტურის ნამდვილ სახეს და ვერ შევიგნებთ მის ცხოველმყოფელ ძალას, რომელიც იხატებოდა პირველ ყოვლისა მდიდარი ქართული ენის განვითარებაში, სასულიერო და საერო ლიტერატურაში, პოეზიაში, ფილოსოფიაში, ხუროთ მოძღვრებაში და სხვა ყველა ხელოვნების დარგში, რჯულის და ზნეობის სიმტკიცეში, სოციალურ წყობილებაში, მეურნეობაში, ეკონომიკაში და სხვა.

ქართველთა მიერ ქართული ძეგლების შეკრება იწყება მხოლოდ წერა-კითხვის საზოგადოების დაარსებიდან. ამას ხელი შეუწყო კიდევ საეკლესიო მუზეუმის დაარსებამ და განსაკუთრებით განაცხოველა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების დაარსებამ. ეხლა მას აგვირგვინებს ჩვენს დროს დაარსებული ქართული უნივერსიტეტი და ხელს უწყობენ ჩვენი მუზეუმები.

კვეხნაში ნუვინ ჩამომართმევს, თუ ვიტყვი, რომ მე წილად მხვდა სხვებთან ერთად ჩემი სუსტი ღონე და მცირე თავისუფალი დრო, სპეციალურ საპედაგოგიო მოღვაწეობიდან გადარჩენილი, მთლად შემეწირა ქართული საისტორიო და საკულტურო საგნების და მასალების შეგროვებისათვის, ცნობაში მოყვანისათვის, აღწერისა და გამოცემისათვის. ამ მიზნით ხშირად მიხდებოდა მოგზაურობა და ექსპედიციების მოწყობა სხვადასხვა საქართველოს კუთხეებში. შეგროვილი დიდძალი მასალა დაცულია ჩვენს მუზეუმებში, მცირე ნაწილი გამოცემულია და ვინც ჩვენს ლიტერატურას თვალს ადევნებდა, დაინახავდა, თუ როგორ შეუწყვეს ხელი ამ გამოცემებმა ჩვენი ისტორიის, ლიტერატურის და ხელოვნების შესწავლას. ხოლო ერთი ნაწილი მასალებისა თანა მაქვს და გამოუცემელი რჩება; საქმე კი საშურია: დრო მიდის, მე მივიწურე აღსასრულისაკენ „ადამის ტომთა წესითა", და ჩემს შემდეგ ამ მასალას თავს ვერავინ გაართმევს. თანა მაქვს სხვათა შორის შესანიშნავი სახუროთ-მოძღვრო ძეგლების გეგმები სამუსულმანო საქართველოსი და მრავალი ფოტოგრაფიული სურათი, მათ შორის ისეთი პირველ ხარისხოვანი ძეგლების სურათებია რომელნიც დღეს სამუდამოდ მოსპობილია და მხოლოდ ჩემი აღწერილობა და გადმოღებული სურათებია დარჩენილი. ამათ გამოცემას მპირდებოდენ ექვს დიდ ალბომად, მაგრამ ეს იმედი ეხლა გაქრა, ამაზე ოცნებაც მეტია. ვინაიდან ამას, სულ ცოტა რომ ვსთქვათ, დასჭირდება ნახევარ მილიონ ფრანკზე მეტი. ისიც დიდი საქმე იქნება, თუ აღწერილობათა ტექსტები გამოვეცით. ეს შეადგენს დაახლოვებით 2.000 გვერდს შუა ფორმატის წიგნისას. რასაკვირველია, ეს რამდენიმე წიგნად უნდა გამოვიდეს.

ამიტომ გავკადნიერდები, ვინაიდან ეს საზოგადო ქართული საკულტურო საქმეა, და მივმართავ **ყველა საზღვარს გარეთ მყოფ ქართველ ორგანიზაციებს და თვითეულ საზღვარს გარეთ მყოფ ქართველს განურჩევლათ პარტიისა,** კეთილ ინებონ და ვისაც რა შეუძლია, რამდენიც შეუძლია, დაგვეხმარონ ამ საქმეში. ვისაც ეხერ-

ხება, ერთდროული თანხა მოგვაწოდოს; ვისაც ეს არ ეხერხება, თვიურად ერთი წლის განმავლობაში ათ-ათი ფრანკი შემოიტანოს; უფრო ხელმოკლეთ შეუძლიათ ხუთ-ხუთი ფრანკი გადადვან; რასაკვირველია, ვინც უმუშევარია, მათ ეს მიმართვა არ ეხება. კერძოდ იმ ორგანიზაციებისათვის, რომელნიც გაზეთებს სცემენ, ჩემი წინადადება არის, ერთი ორი ნომერის გამოცემა შეაჩერონ და მათი ფასი ამ საქმისათვის გადადვან; ამით, მე მგონია, დიდი არაფერი დაშავდება.

მე მოწამე ვარ იმ საოცარი ევოლუციისა, რომელიც ჩვენში მოხდა ამ საკითხში. თუ პირველ ხანებში ამ დარგში მუშაობის დროს მე სასაცილოდ მიგდებდენ, თავს მესხმოდენ, განსაქიქებელ წერილბეს მიძღვნიდენ, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების დაარსების შემდეგ მტრული განწყობილება სიმპატიად შეიცვალა. ყველამ დიდი პატივი დამდვა, ძვირად თუ ვისმეს გაუწბილებივარ საყურადღებო ხელნაწერების და ნივთების შემოწირვაში; რაშიც ფულს ვაძლევდით, იმასაც სულ იაფად გვითმობდენ. ათი წლის განმავლობაში დიდი მუზეუმი შევქმენით და მილიონი მანათის უძრავი მამულები შევიძინეთ. ის ანდერძები, რომელნიც დაგვიტოვეს აკაკი წერეთელმა, დავით სარაჯიშვილმა, ნესტორ პეტრიაშვილმა, ღუდუშაურებმა და ბევრმა სხვებმა (ხოლო ჩვენ რევოლუციის და ფულის დაცემის გამო ნაკლებად ვისარგებლეთ), მოწმობენ ძირითად გადატეხას და მტკიცე შეგნებას ჩვენი ძველი კულტურის შესწავლის აუცილებელ საჭიროებისა. ერთი სიტყვით, მთელმა საქართველომ დიდი პატივი დაგვდვა და ხელი შეგვიწყო. თუ ასეთი სიმპატია გამოყვა ემიგრაციასაც, მაშინ ეს ჩემი წინადადება, დარწმუნებული ვარ, პატივით იქნება მიღებული. სამწუხაროდ, ჩვენი ემიგრაცია დაქსაქსულია პოლიტიკური მიმართულების თვალსაზრისით, ამ საქმეში მაინც შევერთდეთ. იქნება ამ შეერთებამ სხვა დიდ საქმეშიც შეერთება გამოიწვიოს. ღმერთმა ქნას!

ახლო ხანში 50 წელი შესრულდება, რაც მე საპედაგოგიო დარგში და ამ დარგში დავიწყე მუშაობა. ამის გამო ზოგმა ჩემმა ყოფილმა შეგირდებმა მომმართეს წინადადებით იუბილეს მოწყობისა, რაზედაც, რა თქმა უნდა, უარი განვაცხადე, პირველად იმიტომ, რომ საიუბილეო არაფერი გამიკეთებია; მე მხოლოდ ჩემ ქართულ მოვალეობას ვასრულებდი. მეორედ მიტომ, რომ კიდევაც ღირსი ვიყო იუბილეისა, ჩვენს პირობებში, ემიგრაციაში, იუბილე ვის გაუგონია! არ ეგების! იუბილეზედ მეტად ჩავთვლი და უფრო სასარგებლოც იქნება, თუ ამ გამოცემათა საშვალებას მომიხერხებენ.

ნუ ვინ დამწამებს, თითქო მე ჩვენი ემიგრაციის სიღარიბე არ ვიცოდე. არა, ძლიერ კარგად ვიცი, მაგრამ ისიც კარგად ვიცი, ჩვენში საზოგადო საქმე, თუ რამე გაკეთებულა, ისევ ღარიბი ქართველის ჯიბით და მისი ინტელიგენციის წყალობით. მდიდრები ცოტა გვყავნდენ და ვინც გვყავნდა, ბევრი საიმისო არაფერი გაუკეთებიათ. თუ გული გულობს და ყველანი შევერთდებით, საერთო წვლილითაც ამ საქმეს ეშველება. ეს არის პირველი და უკანასკნელი ჩემი თხოვნა ქართველი ემიგრაციისადმი. ვინც პატივს დაგვდებს და დაგვეხმარება ამ საქმეში, მათ ვთხოვ წინდაწინვე მიიღონ ჩემი ულრმესი მადლობა და თანაგრძნობა.

პატივისცემით **ექვთიმე თაყაიშვილი**

***

ოდეს ჯვარით ქრისტე აღსდგას
შემოგვძახებს საბა - ბერი,
ოდეს ჯაჭვებს მონობისას
კვლავ დალეწავს ქართვლის ერი,

ოდეს ზარებს აამღერებს
კვლავ გოგია მეტეხს, სიონს,
ოდეს ჯარი სალამს მისცემს
გვირგვინოსან ბაგრატიონს:

თუ ცოცხალი აღარ ვიქენ,
ჩემს საფლავთან მოდით, მნახეთ
და დიდება ჩემი ერის
სამარეში ჩამომძახეთ.

**მ. დადიანი**

---

**ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ უცხოეთში გარდმოხვეწილი ქართველები გულთან ახლოს მიიღებენ ჩვენი დაუღალავი, უანგარო და დიდი მეცნიერის მოწოდებას და თავისი წვლილის გაღებით მის ძვირფას ნაშრომთა გამოცემას ხელს შეუწყობენ.**

**ჩვენი რედაქცია შეეცდება ამ საქმისათვის შესაფერი წვლილი გაიღოს.**

პარიზში უკვე შესდგა საინიციატივო ჯგუფი, რომელმაც თავს იდვა საგამომცემლო ფონდისათვის ფულის შეგროვება. ამ ჯგუფში შედიან: — ქბბ. ლ. აბდუშელისა, ლ. ნოზაძისა, ელ. მამულაიშვილის ასული და ქ. დადიანის ასული.

---

**ჩვენი ყიჟინაა: — საქართველო უწინარეს ყოვლისა!**

**საქართველოს იდეით განისაზღვრება ჩვენი მსოფლმხედველობა და ჩვენი მოღვაწეობაც. სიტყვისაგან: — საქართველო უწინარეს ყოვლისა! გამომდინარეობს ჩვენი დარაზმულობა და ამ დარაზმულობის ბრძოლაც.**

---

ქართველი ერის სიმდიდრე და მისი მასაზრდოებელი — მიწაა; მიწა უნდა მიეკუთვნოს მიწისმომქმედს; მიწაზე კერძო საკუთრების უფლება შეკავშირებულია ერის წინაშე მოვალეობასთან. ქართველებსა და აფხაზებს გარდა, სხვას მიწის ყიდვა აკრძალული ექნება; საქართველოს საზღვრები უნდა გაქართულდეს.

საქართველომ უნდა დაიბრუნოს დაკარგული მიწაწყალი.

---

უნდა აღსდგეს ქართული კერა და დაცულ იქმნას ქართული მოდგმა. ქართველი ერი უნდა გამრავლდეს. უნდა კვლავ შეიქმნას მშვენიერი ქართველი ადამიანი.

საქართველომ კვლავ უნდა ჰშვას შოთა რუსთაველი.

აღდგენილ და დაცულ უნდა იქმნას სარწმუნოება.

**ᲥᲐᲠᲗᲚᲝᲡᲘᲡ** მთავარი მიზანია: დიდი და დიადი საქართველო.

## გურიას

გამიღე კარი. ნუ მიცქერი მეგობარს მტრულად.
თვალს ნუ მარიდებ მშვენიერო. მომეცი ნება
შენს მთებს, შენს ქალებს მივესალმო მე ძველებურად;
ბახმაროს ნისლში გავახვიო ტკბილი ოცნება.

როგორ? არ გესმის ჩემი სიტყვა? მეძახი ფირალს?!
ზამთრის ბუხართან მეოცნებეს, წარსულზე მტირალს!
ხო, მართალი ხარ! მიყვარს ყანწი, ჩხავერის ღვინო.
თავზე წაკრული ყაბალახი... ხელზე — მიმინო.

ახალ ცხოვრებას რომ აშენებ, მეც მითხრეს, ვიცი.
გინდა რომ მისცე საუკუნო ხსენებას ძველი.
მაგრამ მერწმუნე, რომ იქნება ახლის დამცველი
ჩვენი მამიას „ალავერდი“ და მისი „ფიცი“.

ნუ მიჯავრდები! ვერ გაგიგებთ ძველები ახლებს.
კვლავ თუ მეღირსა შენი ხილვა, მომეცი ნება:
ვესროლო თვალი სევდიანი ჭვარტლიან ქარხნებს...
ბახმაროს ნისლში გავახვიო ძველზე ოცნება.

მაგრამ თუ ჩემთვის დახშულია ოდის კარები,
თუ კი ცოცხალი არას გარგებ, მიმიღე მკვდარი.
ჩემო ბატონო, ჩემს საფლავზე, გემუდარები,
ააშრიალე დიდი მუხა და კოინდარი.

და როცა დღის ხაშმს შესცვლის გრილი, ლურჯი სალა-
მო,
ამოვა მთვარე. ატირდება ქალაში ტურა.
მომინახულეთ. სთქვით სიმღერა ტკბილი, საამო:
ჩვენი „ნადური“, „ოთხი ნანა“, „ხასანბეგურა“.

თუ სიცოცხლეში არ მეღირსა უცხო მხარედან,
რომ მეთქვა შენთვის სიტყვა მკვირცხლი, სიტყვა მახვი-
ლი,
ნულა დამიშლით, გურულებო, მუნჯ სამარიდან
მეც გაგაგონოთ ჩუმი ბანი, ან მოძახილი.

ს. ბერეჟიანი

---

**შრომასა და კაპიტალს შორის უნდა დამყარდეს თანამშრომლობა ურთიერთ ინტერესთა დაცვით.**

**საქართველო არის სამეფო. ეროვნული მთავრობა დაყრდნობილი დარბაზზე, ითანამშრომლებს მეფესთან. დარბაზი შედგენილია ეკონომიურ და კულტურულ დარგთა წარმომადგენელთაგან.**

---

**სოფლისა და ქალაქის მუშა, მრეწველი და ვაჭარი, კალმით მოღვაწე, ხელოვანი, ხელოსანი, მოხელე, მოსამსახურე, ყველა სათანადო ამქარში, თემ-ერობაში შეკავშირებული წარგზავნის თავის წარმომადგენელს დარბაზში და ამით თვით ერი დაჯდება ქვეყნის მომვლელად. ამიტომ იქნება საქართველო შრომის სამეფო.**

## Georgica. Vol. I. Nos 2, 3. London, 1936.

ქართულ და კავკასიურ საკითხთა შემსწავლელი კრებული „გეორგიკა“-ს მეორე და მესამე 180 - გვერდიანი ნომერი გამოიცა და ამით ბ. ალენი და კერძოდ ბ. ანდრო გუგუშვილი დიდს ამაგსა სდებს ქართულ საქმესა და მეცნიერებას უცხოეთში.

კრებული იწყება ბ. ზურაბ ავალიშვილის გამოკვლევით, რომელიც ეხება ქართული ჯვარის ისტორიას, რაც უკვე გამოქვეყნებულია მის შესანიშნავ შრომაში ქართულ ენაზე: „ჯვაროსანთა დროიდან“, და რომელსაც ქართველი მკითხველი კარგად იცნობს.

ჩვენი მხცოვანი მოღვაწე და მეცნიერი ექვთიმე თაყაიშვილი აგვიწერს წალენჯიხის ეკლესიის ხატს, რომლის რამოდენიმე სურათი იქვეა მოთავსებული; ხოლო ახალგაზრდა მეცნიერი და არქიმანდრიტი გ. ფერაძე მოგვითხრობს ქართული გავლენის შესახებ ბალკანეთის ხალხებზე; — იგი განსაკუთრებით ეხება ქართული მონასტრებისა და ქართველების მოღვაწეობას ბალკანეთში და მოუწოდებს მკითხველთ თავს იდვან იქ დარჩენილ ძეგლთა დაცვა.

ბ. ტ. მარგველაშვილი ეხება „ვეფხის ტყაოსანის“ საკითხს და ადარებს მას ბაბილონურ ეპოსს: „გილგამეშიან“-ს. ჩვენ ამ ნარკვევმა გაგვაკვირვა შედარების მხრივ და უფრო მეტად მისმა მტკიცებამ, რომ ვ. ტ.-ის ფაბულა ეკუთვნის მატრიარხალური კულტურის ხანას ან წინარ-იაფეტურ ხალხებს. ავტორს უცნაური შედარებისათვის მიუმართავს და ცხადია უცნაურ დასკვნებსაც ღებულობს; ამგვარადვე: რატომ არ შეიძლება ვ. ტ. შეადაროს რომელიმე სხვა ეპოსს და დაასკვნას, რომ ვ. ტ. ფაბულა არის ნეანდერტალის ხანისო?

ჯონ რადლეი ეხება აჯანყებას დაღესტანში და ჩეჩნეთში 1877 წელს; აულ საიასანთან შეიკრიბა 60 წარმომადგენელი და მისცა ერთმანეთს ფიცი ებრძოლათ რუსეთისაგან ჩამოცილებისათვის, — ეს იყო რუსეთოსმალეთის ომის დრო და ოსმალური წაქეზებითაც გამოწვეული; ამ აჯანყებას ხელმძღვანელობდენ სულტან-მურადი, ალიკ-ჰაჯი და განთქმული უმა-ჰაჯი. ბევრი მსხვერპლი მოითხოვა ამ აჯანყებამ, რომელიც უშედეგოდ დასრულდა.

გიორგი ბოჭორიძის ნარკვევი „ჯვარის მონუმენტი“ გადმოთარგმნილია „საქართველოს არქივი“-დან და ეხება მის მიერ აღმოჩენილ ზნაკვის (რაჭა) ჯვარს — ძელი ჭეშმარიტი. ჯვარის ნაკეთობა და წარწერის მიხედვით ბ. ბოჭორიძე ამტკიცებს, რომ იგი ეკუთვნის მეექვსე საუკუნესო. აქვეა დაბეჭდილი ჯვარის სურათიც.

ბ. ა. გუგუშვილის წერილი ეხება საქართველოს ეთნოგრაფიულ და ისტორიულ დანაწილებას; ავტორი ეყრდნობა რა დღემდე გამოქვეყნებულ შრომებს — ვახუშტი, ივ. ჯავახიშვილი, მარი, ყიფშიძე, გორგაძე, ბროსე და სხ. — აღწერს საქართველოს გეოგრაფიულად; პირველად დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთი, სვანეთი, სამეგრელო, გურია, იმერეთი); გზადაგზა იხსენებს ამ მხარეთა ძველ ისტორიულ სახელებს (კოლხიდა, ლაზიკა, ლიხთ-იმერეთი და სხ.) და მერმე აღწერს აღმოსავლეთ საქართველოს — კახეთი = შიგნით კახეთი —

თუშეთი, ქიზიყი, საინგილო; გარე კახეთი = ხევსურეთი, ფშავეთი; ქართლი: (ზემო, ქვემო, შინა-ქართლი, რომელშიაც შედის აგრეთვე ოსეთიც. ქვემო-ქართლი = გარდაბანი ანუ ხუნანი (ხრამზე და ბერდუჯაზე), გაჩიანი (მის დასავლეთით ხრამის შუა მიმდინარეობაზე), თრიალეთი, (ტბა ფარავანიდან ბორჯომის ხეობამდე). ზემოქართლი = აჭარა, ქობულეთი, ლივანა, ჭანეთი, შავშეთი, კლარჯეთი, ტაო, ბასიანი, ისპირი, თორთომი; მტკვრის ხეობაში: სამცხე, ჯავახეთი, არტაანი, კოლა, აბოცი (პალაკაციო, ყაიყული); ზემოქართლს ეწოდებოდა აგრეთვე მესხეთი და შემდეგ სამცხე-საათაბაგო.

შემდეგ ავტორი ეხება ქართულ მიწა-წყალთა ისტორიულ სახელებს: იბერია, კოლხიდა, ლაზიკა; აღნიშნავს სიტყვა „საქართველო"-ს წარმოშობას და მოჰყავს თეორია) სახელი „გეორგიენ", „ჟორჟი", „ჯორჯია", „გრუზია"-ს შექმნის შესახებ; პროფ. მარრის აზრით, ევროპიული სახელი „გეორგია" წარმოშობილია მეგრულ სახელისაგან — ეგერ, გერ, გვერ, გურ; გადატანილია იგი სირიულში გურზან-ად და არაბულში გურჯ-ანად; აქედან მოდის გურზ — რუსული გურზია, გრუზია და ევროპიული გეორგია, ჟორგია და სხ. პროფ მელიქსეტ-ბეგის თეორია ასეთია: სპარსული გურჯ-ან და არაბული ჯურჯ-ან არის ერთი სახე ძველი საქართველოს პატარა პროვინციისა — გუგ-არ-ეთი; ეს ადგილი შესაჩერებელი ბინა იყო იაფეტური ტომებისა, რომელნიც სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ იწევდენ. გოგ-გუ ანუ გორგ-გურგ, რომელიც ბიბლიაშია ნახსენები როს, მოსოხ (მესხები) და პობელ-ებთან (იბერი) ერთად, არის ეპონიმი გოგ-ისა, რომელიც მაგოგის მხარეში იყვნენ. გოგ-გო(რ)გ იდან წარმოიშვა ბერძნული გ(ე)ორგ-ია. ხსნიან მიწის მომქმედის სახელითაც: იგი ბერძნულად ამასაც ნიშნავს. ბ. გუგუშვილის წერილს თან ახლავს ფერადიანი ისტორიული რუკა საქართველოსი.

ბ. სერგო მაკალათიას წერილი „ნუმიზმატოლოგიური შენიშვნები" გადმოთარგმნილია „საქართველოს მუზეუმის მოამბე"-დან და ეხება კოლხურ ფულს — დიდოდ დრახმას; კოლხური ფულები იპოვეს დასავლეთ საქართველოში; კოლხეთი ძველად მეზობელ ქვეყნებთან სამეურნეო და კულტურულ მჭიდრო ურთიერთობაში იმყოფებოდა და მას თავისი ვაჭრობისათვის საკუთარი ფულიც ჰქონდა; კოლხეთში ნაპოვნი ფული ორგვარია: დიდი და პატარა; ბ. მაკალათია აღწერს დიდ ფულს, რომელიც წონით უდრის ბერძნულ დრდრახმას; მისი შემადგენლობაა ერთი მესამედი ვერცხლი, დანარჩენი სპილენძი; ფული მოჭრილია თვით კოლხეთის სამეფოში ქრისტეს წინ მეხუთე საუკუნეში; წერილი დასურათებულია ფულთა ნიმუშებით.

ბ. ს. კაკაბაძის წერილი, რომელიც გადმონათარგმნია „საისტორიო კრებული"-დან, ეხება „სვეტი-ცხოველის" აგებას; სვეტი ცხოველი მეტად მნიშვნელოვანი ძეგლია ძველ ქართულ ხელოვნებაში და ამიტომ ბ. სარგის კაკაბაძე დაწვრილებით იკვლევს არსებულ წყაროთა მიხედვით მისი წარმოშობის ისტორიას; ავტორის მტკიცებით, სვეტიცხოველი გადაკეთებულია ხუროთმოძღვარ არსაკისძის მიერ კათოლიკოს მელქისედეკის დროს ანუ 925 — 945 წწ.

კავკასიურ რასათა საკითხის ცნობილი მკვლევარი ბ. ალექსანდრე ჯავახიშვილი, რომლის წერილი „კავკასიური რასა" გადმოთარგმნილია „ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე"-დან, იხილავს კავკასიურ ხალხების დაჯგუფებათა სახეობას ეთნოლოგიური თვალსაზრისით და თან მოჰყავს ამ საკითხზე სხვა მეცნიერთა მოსაზრებანი. კავკასიელთა ადგილის შესახებ საკითხმა ანტროპოლოგიაში, მრავალი ცვლილება გამოსცადა და დაწყებული ბლუმენბახიდან, რომელმაც პირველად (1795 წ.) შემოიღო ტერმინი „კავკასიური რასა, რითაც მან ევროპიელები მონათლა, და გათავებული სტრაცით და რუგაგერის თეორიებით, დღეს საბოლოოდ გამორკვეულად ვერ ჩაითვლება.

ბ. ა. გუგუშვილი ეხება საქართველოს მეფეთა ქრონოლოგიურ-გენეალოგიურ შტოს და იწყებს მას უძველესი დროიდან. იგი იწყებს მოქცევაი ქართლისაის ლეგენდიდან ფარნაოზ მეფის შესახებ და აქვეყნებს ს. გორგაძის მიერ გამომუშავებულ სიას პირველ ქართველ მეფეთა, რომელიც შეიცავს 37 მეფეს აზოდან დაწყებული (330 წ. ქრისტეს წინ) ვახტანგ გორგასლანამდე (450 — 503 წ. ქრისტეს შემდეგ); აქვე დაბეჭდილია მეფეთა სია მოქცევაი ქართლისაის მიხედვით, რაც შეიცავს42 მეფეს და ქართლის ცხოვრების სია, რომელიც იწყება ფარნავაზიდან და თავდება აქ იოანე და ჯვანშერზე (718 — 787 წ.) — 45 მეფე; სპარსელებმა მოსპეს მეფობა ჩვენში 523 წ. და აქ ინიშნებოდა მმართველი ანუ მარზპანი, ფაქტიურად კი ქვეყანას განაგებდენ ერისთავნი, რომელთა სიას ქართულ ქრონიკათა მიხედვით ბ. გუგუშვილი აქვეყნებს „გეორგიკა"-ში. შემდეგ იწყება ბაგრატიონთა დინასტიიდან პირველი მეფე, რომელიც ქართლის ცხოვრების მიხედვით, იყო გურამი (575 — 600 წ.), მაგრამ თანამედროვე, ქართული ისტორიის მეცნიერება სხვაგვარად ფიქრობს; მაგალითად: ბ-ნ ექვ. თაყაიშვილის აზრით, ბაგრატიონთა პირველი მეფე იყო აშოტ დიდი, რომელიც გამეფდა 780 წელს. ამ ხანიდან იწყება ბრძოლა საქართველოს ყველა კუთხეთა გაერთიანებისათვის ბაგრატიონთა დინასტიის მეთაურობით (975 — 1014 წ.); ამ ხანას მოჰყვა ოქროს პერიოდი, რომელიც დასრულდა მონღოლთა შემოსევით და საქართველოს ორ სამეფოდ გაყოფით და მერმე კიდევ რამოდენიმე ცდა საქართველოს გაერთიანებისათვის და მერმე საბოლოო დანაწილება მისი, რომელიც იყო ნელი და მძიმე პროცესი საუკუნეთა განმავლობაში. ავტორს შემდეგ მოჰყავს სია მეფეთა და მთავართა დანაწილებული საქართველოსი: სამეფოების: ქართლის, კახეთის, იმერეთის და სამთავროსი: მესხეთის ანუ სამცხე-საათაბაგოსი. ბ. გუგუშვილს ეს სიები ამოღებული აქვს ს. კაკაბაძის ისტორიიდან და ექ. თაყაიშვილის შრომიდან. ჩვენი მკითხველის ყურადღებას მივაქცევთ იმ ამბავს, რომ თამარ მეფის დროს შემოღებულ იქმნა ტიტული ათაბაგი (ათა — მამა, ბაგი ანუ ბეგი, ოსმალური წოდება) და მიეკუთვნა პირველად ივანე მხარგრძელს, შემდეგ იგი გადაიქცა მესხეთის მმართველთა ჩვეულებრივ წოდებად 1334 წლიდან. მესხეთი ანუ სამცხე-საათაბაგო 1463 წელს გახდა დამოუკიდებელი სამთავრო ყვარყვარე მეორის დროს, მაგრამ მთავრები ქართველ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფეებთან კავშირში იყვნენ, ხოლო 1625 წელს ათაბაგმა ბექა მესამემ მიიღო ოსმალური ორიენტაცია და იწოდა ფაშად; აქედან იწყება ახალქალაქ — ახალციხის მხარის, ძველი მესხეთის გათათრება. 1774 წ. ოსმალეთმა მოსპო სამცხეს ათაბაგობა და დაარსებულ იქმნა ახალციხის საფაშო.

მერმე ავტორს აღნიშნული აქვს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა თარიღები და ბოლოს ის სია, რომელიც ეხება ძველი კოლხიდისა და ლაზიკის მეფეებს ძველივე უცხო წყაროთა მიხედვით. ბ. გუგუშვილის ეს წერილი, როგორც მოკლე ისტორია სამეფოთა, დამყარებული დღემდე გამოქვეყნებულ, მაგრამ არა საბოლოოდ დადგენილ მასალაზე, მეტად მნიშვნელოვანია სარგებლობის მხრივ არა მარტო უცხოელ, არამედ ქართველ მკითხველთათვისაც.

შემდეგი წერილი ეკუთვნის ისევ ბ. ექვ. თაყაიშვილს, ჩვენს მართლა დაუღალავ და უანგარო დიდ მეცნიერს, რომელიც აქ აღწერს თავის მოგზაურობის შედეგებს — მდინარე ყვირილას ხეობაში; იგი აღწერს პირველად სოფ სავანეს ორ ეკლესიას; ჩვენი მეცნიერის გამოკვლევით ერთი აშენებულია 1046 წელს, ბაგრატ მეოთხის დროს და მეორე მე-9 —10 საუკუნეში; იგი აღწერს სავანის სახარებას და არკვევს, რომ იგი დაწერილია — 1520 წელს, თუმც სხვების აზრით — იგი შესრულებულია 988 წელში; შემდეგ აღწერილია მეთერთმეტე საუკუნეში აგებული დარკვეთის ეკლესია; უკანასკნელ ხანამდე (და შეიძლება დღესაც) დღესასწაულს მთელი ხალხი მიდის ჯვართან, რომელიც იქვეა აგებული და დაჩოქილი შესთხოვს უფალს: — ღმერთო შეუნდეო, თუმცა აღარავის ახსოვს, თუ ვის! ბ. ექ. თაყაიშვილი არკვევს ეკლესიის წარწერებიდან, რომ ცოდვათა მოსანანიებლად ეკლესია აუგია ერისთავთ-ერისთავს გოდაბრელიძეს, რომლის გენეალოგიასაც იგი აღნუსხავს. ხალხის ვედრებაც ამ ცხრა საუკუნეში მისთვის იყო დანიშნულიო. შემდეგ აღწერილია ეხვევის და საკვირიკეს ეკლესია; მთელი ეს აღწერა გამშვენიერებულია 28 სურათით; დასცქერით ამ ძვირფას და შესანიშნავ სურათებს და მადლობის გრძნობით ივსებით ბ. თაყაიშვილისადმი, რომელმაც თავდადებით შესძლო მომავალ თაობათათვის ამ ძვირფასი ფოტოგრაფიებისა და აღწერილობათა დატოვება, ვინაიდან, არ დაგვავიწყდეს, რომ ზოგი აქ აღნიშნული ნაშთი უკვე დაკარგულია.

კრებულში მოთავსებულია მიმოხილვა და ქართული ანბანი და მისი გამოქთმა ინგლისელთათვის; ეს უკანასკნელი შედგენილი ბ. ა. გუგუშვილის მიერ.

ვუსურვებთ ბ. ბ. რედაქტორებს აწიც ასე წარმატებით განეგრძოთ ქართული ეროვნული კულტურისათვის ეს მეტად სასარგებლო მუშაობა.

იგ. გახოკიძე

---

## „მხედარი“

„მხედარი“-ს უკანასკნელ, მეოცე ნომერში, ქართველი იუნკრები გულისტკივილით აღნიშნავენ მათ საყვარელ თანამებრძოლთა გ. კიკიანისა და შ. ფურცელაძის გარდაცვალებას. — გენერ. ჩხეიძე დაწვრილებით აგვიწერს ყველა იმ ნაკლს, რომლითაც დაიწყო საქ. დამოუკიდებლობის ხანა სამხედრო მზადების საქმეში. მისი თქმით, დროა „მოზარდ თაობის წინაშე აღვიაროთ შეცდომანი წარსული მუშაობისა“, „უნდა მომზადებულიყავით საჩქაროდ და ძალის მთელი დაჭიმვით, რადგან ბოლშევიკთა რიგები საქართველოს საზღვარს უახლოვდებოდენ. გაკეთდა რაიმე თავდაცვისათვის? არა, პირიქით: „ვაკეთებდით ყველაფერს, რომ მტრისათვის ჩვენივე მოსპობა გაგვეადვილებინა“... ჩვენს დიპლომატიას არაფერი გაუკეთებია სახელმწიფოს მძიმე პირობებში, თვით შინაგან მუშაობაში სრული ანარქია იყო; 65.000 ჯარისკაცის მაგიერ ბრძოლაში 15.000 კაციც ვერ გამოვიყვანეთ; ჯარი ორ სისტემაზე გვყავდა აგებული, რომლის სამხედრო ღონე ძლიერ დაბალი იყო; ჯარს არ ჰყავდა უფროსი, რომელსაც ჯარის გაწრთვნა და აღზრდაზე ემუშავნა; ჯარის ადმინისტრაციასა და მომარაგებას ერის კაცი განაგებდა; „გაუგონარი შემთხვევაა, ჯარი ერთ დღესაც უუფროსოდ იყოს, არამც თუ სამი წლის განმავლობაში“. შემედეგ გენ. ჩხეიძე „ოცნების“ სახით აგვიწერს — თუ როგორ უნდა ყოფილიყო მოწყობილი ჩვენში სამხედრო საქმე ევროპაში მიღებული წესით; და თუ ასეთი წესით იქნებოდა სამხედრო და სამოქალაქო ცხოვრება მოწყობილი, იმ შემთხვევაში ბოლშევიკების ლაშქარის სრული მოსპობის და აზერბეიჯანის მე-11 ლაშქარისაგან გაწმენდის 100 პროცენტი გვექნებოდაო. „მაგრამ დეე ყველამ გაიგოს და კარგად შეიგნოს, რომ გადამწყვეტ ხანაში, როდესაც ჩვენი სახელმწიფოს ყოფნა-არ-ყოფნის საკითხი იდგა, ჩვენ გამოვდექით სუსტნი და მოუმზადებელნი; არა იმიტომ, რომ ჩვენ საამისო საშუალებანი არ მოგვეპოვებოდა, არამედ იმისთვის, რომ ჩვენში სამხედრო საქმე ერის კაცის ხელში იყო.... თუ ვისმეს ჰგონია, რომ რევოლუციის მონაპოვარის დასაცავად საჭიროა სამხედრო საქმეშიაც რევოლუციის მოხდენა, იგი ძალიან სცდება. სამხედრო საქმე, როგორც სხვა მეცნიერულ საფუძვლებზე დამყარებულნი ხელოვნებანი, მიდის საკუთარი გზით; ეს ჩვენ ვერ შევიგენით და დავიღუპეთ“-ო.

ბ. მ — ლი ემიგრანტობის 15 წლის თავზე დასტირის ემიგრაციის დაქსაქსულობას-დაყოფას და მის შეუგნებელ მიდგომას სამხედრო საქმისადმი და მავნე პირთა ხელისშემშლელ მუშაობას; მისი აზრით, საჭიროა სამხედრო კადრთა მომზადება მომავალ, განსათავისუფლებელ ქვეყნისათვის.

ბ. გენ. ჩხეიძე იხილავს სახელმწიფოს თავდაცვის საკითხს; ვის შეუძლია სახელმწიფოს დახსნა მტერთა შემოსევისაგან — ერთა ლიგას ან ნეიტრალად თავის გამოცხადებას, თუ შინაგან და საგარეო ძალთა განვითარება-გაძლიერებას და სამხედრო საქმის სასურველ დონემდე აყვანას? მთელი ყურადღება ავტორისა მიმართულია — ქართველ მკითხველს შთააგონოს და შეასწავლოს სამშობლოს სიყვარული, მისი მოვლა და პატრონობა; აქვე აღნუსხავს სახელმწიფო თავდაცვის ახალ პრინციპებსა და გზები.

ბ ნ — ლი დაწვრილებით აგვიწერს მარაბდის ომს, სარდალთა „რჩევას ომისა“-ს. — მარაბდის ომი“-ს ლექსი აქვეა დაბეჭდილი და განმარტებული ბ. შ. ამერაჯიბის

მიერ. — ბ. ა. მანველიშვილის წერილი, მასალები ძველი საქართველოს სამხედრო ორგანიზაციის შესახებ, საინტერესოა მათთვის, ვისაც არ წაუკითხავს პროფ. ივანე ჯავახიშვილის ნაშრომები. — „ცხენი“ ბ. ვ. უ — ძესი ეხება მის მნიშვნელობას სამხედრო საქმეში და დასასრულ ბ. მ. კვ — ლი აღწერს ცხენოსანი ჯარის მოქმედებას 1914 წლის ომში, კერძოდ რუსულ ცხენოსან დივიზიათა მოქმედებას აღმოსავლეთ პრუსიაში.

დ. მარჯანიშვილი

---

# NICOLAS

(გაგრძელება. იხ. თ. გ. ნომ. 99)

„ოტელ მიშელ“-ის სასადილო ოთახს ელექტრონის მკრთალი შუქი ანათებს.

აფრასიონი და პავლე თეთრ ქაღალდით გადაფარებულ მაგიდას უსხედან:

ცარიელი ბოთლები;
ორი ჭიქა — წითელი ღვინით ავსებული;
ყველი;
ვაშლის ნათალი;
პაპიროსის კულმუხები;
კედლის საათმა ცხრა დაჰკრა და გუგულს გააჯავრა:
კუკუ! კუკუ!...

აფრასიონმა ფანჯარა გამოაღო:

ელექტრონით გაჩაღებულ ქუჩიდან ხმა მაღალი საუბარი, სიცილი მოისმა.

მუშები, საკვირაო ტანთსაცმელში მორთულნი, სინემისაკენ მიეშურებიან.

სინემის ზარი განუწყვეტლივ წკრიალებს...

პავლეს თვალები ეხუჭება...

— ანფრასიონ, გეთაყვა! არ დაგვიგვიანდეს, წავიდეთ!

აფრასიონმა ფანჯარა მიხურა და მაგიდას დაუბრუნდა.

— დავცალოთ აი ჭიქები და მერე. დრო გვაქვს კიდო.

— მაშ დავლიოთ! — სთქვა პავლემ. თვალები დაისრისა. წელში გასწორდა. სავსე ჭიქა ხელში აიღო.

— ჰოდე, იმას ვამბობდი... ბიჭო, ქალებზე როგორა ხარ?!

— რა ქალებზე ლაპარაკობ?

— იჰ, შე კუდიანო, შენა! ვითომ ვერ გაიგე. ქალებზე გეუბნები, ბიჭო! როგორც თევზი უწყლოთა, იგრე შენისთანა ჯანიანი ბიჭი უქალოდ ვერ გაჰძლებს. ჰა, გამოტყდი, ჩემი ნუ გრცხვენია: ბლომადა გყამს გოგოები?

აფრასიონს გაეცინა.

— პავლიავ! შემ მითხარი თითონ, თუ გიყვარდე, რავა გაქ საქმე? გყავს ვინმე?

— იჰ, მყავს რომელია! — პავლემ სქელ ულვაშებზე ხელი გადაისვა და ჩაიღიღინა: „ქვეყანა ჩალად არა ღირს. ერთ ლამაზ ქალად არა ღირს“... შენ ეგ ჭიქა ხელში აიღე... რამდენი წლისა ხარ?

— ორმოცს გადავახტი თავზე.

— ცოლს რად არ ირთამ?

— ვინ უნდა შევირთო?

— რათა, შვილო? განა ქალები გამოილიენ ამ ქვეყნად?

— კი მარა... რას გამიგებს ფრანგის ქალი?

— რათა, ბიჭო? ქალი ქალია! მართალია, შენი სისხლი და ხორცი, შენი ქვეყნის ქალი უნდა ამჯობინო უცხოსა, მაგრამ ქვეყანა დავკარგეთ და შენი იღბალი, სადაც ბედმა გადმოგაგდო, იქ უნდა ეძიო. ორმოცი წლის ვაჟკაცსა, ჯან-ღონით სავსეს, ცოტა რო არა ვსთქვა, ხუთი შვილი უნდა გყამდეს. რა არი შენი ცხოვრება? იჰ, შენც იტყვი: კაცი ვარ და ქუდი მხურამსო! ღვინო ხელში აიღე! ეგრე... მე ვსომ შენს სადღეგრძელოს! შენი ცხოვრების მეგობრის სადღეგრძელოს, შენი იღბლისა. დაქორწილდი! ოჯახი გაიჩინე. ღმერთმა ამ ქვეყნად მითვინ გაგვაჩინა, რომ ჩვენც სხვას მივსცეთ ცხოვრება. „იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა“-ო, ეგრე უთქომთ და შენი თესლი უნდა დაჰთესო, შვილო. უნდა კერა დაინთო; თორემ მოკვდები და სულ ერთიან მოკვდები, განიავდები, მიწად იქცევი. მე რომ მოვკვდები, — ჩემი ვანა, ჩემი პელა და გიგლა განაგრძობენ ჩემს ცხოვრებასა... ეგრე არ არი?

აფრასიონი ზის თავჩაღუნული. დაფიქრებული... პავლეს მიერ აღძრული საკითხი მეტად მწვავეა მისთვის. ღვინომ უფრო გაამწვავა. სავსე ჭიქას ხელი მაგრად მოუჭირა. თითქოს უნდა ჭიქის გატეხა.

პავლე მიხვდა... აფრასიონის დაჭიმულ წარბებს და მოკუმულ ტუჩებს დააცქერდა. მამობრივმა გრძნობამ თვალები ცრემლებით გაუბრწყინვა...

პავლეს წინ უცხო ქვეყანაში,
უცხო ოთახში,
უცხო ტანსაცმელში მორთული ვანა ზის:
დავაჟკაცებული და...
ჯერ უცოლშვილო!

აფრასიონის ხელი ხელში აიღო; ალერსით ხელი გადაუსვა.

— ჰოდა, — უთხრა ჩუმად, დაყვავებით: — თუ აქაური ქალები არ მოგწონს, პარიზში რად არ ჩაივლი, შვილო! ამბობენ: ქართველი ქალები ბლომად არიანოო. თვალი გადაავლე. შენი ბედი იქნებ იქა ჰპოვო...

ხანგრძლივი სიჩუმე...

— რა მოგდის, ბიჭო?! რად მაიწყინე? ჩემი მოსვლა თუ გეწყინა! — დაარღვია სიჩუმე პავლემ. ჭიქა მაღლა ასწია.

— შენი გამარჯვებისა იყოს, ანფრასიონ!

ჭიქები დასცალეს.

— ეხლა კი უნდა წავიდე. დამიგვიანდება! — პავლე ზეზე წამოდგა. კეპი ჩამოიფხატა თავზე: შავი, მსუქანი ულვაშები ლა მოსჩანს.

აფრასიონმა კარები გამოაღო:

— ლადისიონ, მადამ, სილ ვუ პლე!

ზორბა, ლოყებ გაწითლებული ქალი, არა ბუნებრივი ღიმილით და გადაჭარბებული თავაზიანობით შემოვიდა

— ხომ კმაყოფილი დარჩით, ბატონებო? ხომ კარგად გაატარეთ დრო?

— მერსი! ბოკუ მერსი, მადამ!

— ოხ, თქვენ კი არა, მე ვარ თქვენი მადლობელი, ბატონებო! — სთქვა მადამ მიშელისამ, როცა აფრასიონმა ანგარიში გაისტუმრა.

— საღამო მშვიდობისა, ბატონებო! საღამო მშვიდო-

ბისა! არ დაგვივიწყოთ, ბატონებო! ოხ, ფრთხილად! კიბის საფეხურია! არა იტკინოთ რა! საღამო მშვიდობისა, ბატონებო!

— ე, ვარანა სულ ჩემს პოლშის გოგოსა ჰგავს! — სთქვა პავლემ, როცა ქუჩაში გამოვიდენ.

— კაი, ნუ ხუმრობ, კაცო! მართლა გყავს ვინმე?!

— ბიჭო, შენა გგონია გეხუმრები?! ისეთია რომა!... ბროწეულივით გოგოა! ეხლა და არ იტყვი, რაღა მე გამამნახა? ბედია ყველაფერი! ვეუბნები: ფანია, საშენო არა ვარ, ცოლშვილის პატრონი კაცი ვარ, ჰალარა გამამრევია. პურქუაო! ახალგაზრდებს კიდე სჯობიხარო! „ტუა ჟანტი“ ხარო! „მონ ჟანტი პოლი“ ხარო! „მოი კოხანია“ ხარო! — პავლე იცინის.

გაჩაღებულ სინემის წინ კუდი სდგას. ქუჩაში ხალხი ირევა. ტეესეფის სიმღერა ისმის....

აფრასიონიც სტვენით აჰყვა...

— ბონ სუარ, ნიკოლა!

— ბონ სუარ, მორის!

— ეგ ვინ არი? — შეეკითხა პავლე.

—ბონ სუარ, მუსიო, ნიკოლა!

აფრასიონმა ქუდი მოიხადა:

— ბონ სუარ, მუსიო, რენე!

— ეგ ვინღა იყო?

— ქარხნის პატრონის ვაჟიშვილი.

— იჰ, — ამბობს გაკვირვებით პავლე: — ეგეთ დაბალ სალამსა სოფლის ბიჭიც კი არ მოგცემს!

ხიდთან მივიდენ. განიერი მდინარე უხმოდ, მძიმედ მიიზლაზნება მთვარის შუქზე.

პავლე რკინის მოაჯირს დაეყრდნო.

— ჩვენი ქვეყნის მდინარე უფრო მხიარულია. ეგრე როდი დამუნჯდება... — სთქვა პავლემ და ზეცას შეხედა: — ჰაი, რა შორს არი ზეცა! მთვარეც რა ქირვეულათ ანათებს... ვარსკვლავები სადღა გაჰქრა?! მაიცა!.. იჰ, მეხი კი დაგაყარეთ! დახე, დახე როგორ ბჟუტამენ!? ჩვენი მიწა-წყალი სულ სხვაა, შვილო. აი, ტა, ლა, ტა, სად ვილუპებით! ჩვენი მიწა ზეცასთან ახლო სცხოვრობს. ყველაფერს ზევიდან დასცქერი: მთიდან — მთასა, ველიდან — ველსა, ბილიკიდან — ბილიკსა. მთვარეც პატარძალივით თავზე დაგქათქათებს. ვარსკვლავები ახალციხის მწიფე ვაშლებივით სხედან ცაზე. ეგრე გგონია ხელით მისწვდები, დაჰკრეფ და უბეში ჩაილაგებ... ერთხელ ხელმწიფის შვილი სანადიროთ წასულიყო. ბევრი იარა თუ ცოტა, მიადგა ერთ გამოქვაბულს. ხედამს...

— ზდრავსტვუი ნიკოლაი! კაკ ჟივიომ!? — დაიღრიალა ვიღაცამ იმათ ზურგს უკან. პავლე შეკრთა. აფრასიონმა ივან პანამაროვს შეხედა.

— როგორ? არა მცნობთ?! — პანამარიოვი გაიჭიმა. ქუსლი ქუსლს მიარტყა. გამართული თითები შუბლზე მიიდვა:

— ივან ვასილიევიჩ პანამარიოვ!

აფრასიონმა ხელები გულზე დაიმკლავა. მიუახლოვდა.

— რამდენჯერ მითქვამს, როცა ღვინით ხარ გახეთქილი, არ მომეკარო! პაშოლ კ ჩორტ! — ეუბნება დამტვრეული რუსულით.

— მთვრალი! მერე რა რომ მთვრალი ვარ! — ამბობს ივან პანამარიოვი ბოხი, გაბზარული ხმით და ღვინის სუნი ამოსდის პირიდან. — შენი ფულით ხომ არ დამთვრალვარ!?..

— სლუში! პოჩემუ ხოჩიშ, ჩტობი ია ტებია ნეპრემენო პაბილ?!

ივან პანამარიოვი უკან იხევს...

— რათა ძმაო, რად უნდა მცემო? ნუ ჯავრობ, ნუ ჯავრობ „გოლუბჩიკ“. დარდისაგან ვსვამ, დარდისაგან! მაშ რა ვქნა? როგორ არ დავლიო?! — პანამარიოვი ტირის... — წერილი მივიღე სახლიდან, წერილი! ჩემი მეუღლე, „მოია გოლუბუშკა“, ლიუდმილა პავლოვნა, გათხოვდა! ოხ! ოხ! — და ივან პანამარიოვმა ხელებით დაიფარა სახე. ლუღლუღებს; იფურთხება; ილანძღება.

აფრასიონი პავლეს დაეწია.

— რა მოუვიდა? რა ღმერთები აწვალებენ?! —შეეკითხა სიცილით პავლე.

— ნიკალაშა! „ბრატეც, როდნოი“! ნე პოკიდაი! — ყვირის პონამარიოვი: — წამოდი სინემაში! გპატიჟებ!

და.. უცებ ამღერდა რიხიანი, უდარდელი ხმით:

— „პროშჩაი ტი როდინა, დერევნია!
პროშჩაი, პროშჩაი...

ხიდს რომ გადავიდა, ქუდი მაღლა შეაგდო: — ეხ! ეხ!

— „ეხ, ტი ვანკა ნე ტუჟისია,
ტუდი, სიუდი პოვერნიის“...

და... აცეკვდა: ხტის, ჩაბუქნა....

— რა რჯულისაა? — შეეკითხა აფრასიონს პავლე.

—დიდება შენდა, ღმერთო! რაეა, ვერ ატყობ თუ? რუსია! ვინ იქნება რუსის მეტი!

— მეც ეგრე ვთქვი! რაო, რათა ღრიალებო?

— დასწყევლის ღმერთი მაგენის გამჩენს! ათი წლის წინეთ მუულია სახლიდან წერილი: ცოლი გაგითხოვდაო და ცას და ქვეყანას მოსდვა. რამდენს დათვრება სულ წერილზე და მის ცოლზე ლაპარაკობს.

— რა ხელობის კაცია?

— რა ხელობისაა და ბანკის დირექტორი! რა ხელობის უნდა იყოს! მუშაა. უბრალო მანოვრი. ნახშირს თრაქავს ქარხანაში.

დენიკინის ჯარში პოლკოვნიკი ვიყავიო, მარა მაგენი ამ ემიგრაციაში ყველაყაი ან პოლკოვნიკებია ან ღენერლები. ერთი მაგენის სალდათი ვერ ვნახე. იმიტომაა რომ მოსცხეს ბოლშევიკებმა. უსალდათოთ ომის მოგება გაგონილა?! აბა, ავჩქარდეთ!

სადგურთან რომ მივიდნენ, შორით საყვირის ხმა შემოესმათ. შემდეგ მოსახვევიდან ჯერ ვიწრო შუქი გამოძვრა. შუქი გასწორდა; გაიშალა; სწორ გზაზე ფართოდ დაეფინა.

— ე, ტიალი, ვეშაპივით ანათებს. დამაბრმავა. — პავლემ თვალებზე იტაცა ხელი.

შუშაბანდ გაჩაღებული, ხალხით დატვირთული ვეებერთელა ოთახი გაჩერდა მის წინ.

— აბა, კეთილი მგზავრობა! არ დამივიწყო, პავლე!

პავლე ბაქანზე სდგას. ხელებს იქნევს და ყვირის:

— გმადლობ, ბიჭო-ჯან! ღმერთი სიკეთით გიზღაააამს!..

ვიღაც მგზავრი სათვალეს ისწორებს, მხრებსა სწევს და ეუბნება გვერდით მჯდომ ქალს:

— კიდევ უცხოელი! სახლში ჰგონია თავი. როგორ ჰყვირის!

ავტობუსი ახრიალდა. მძიმედ დაიძრა.

პავლემ სერთუკის ჯიბეში ჩაიყო ხელი. ორი კონვერტი ამოიღო: ლურჯი და მოყვითალო. ერთში ვანას წერილი იყო; მეორეში — პასუხი. ვანას წერილი უბის ჯიბეში შეინახა. გულთან ახლოს.

ჩამოჯდა. ქუდი მოიხადა. მგზავრებს გადახედა:

— ბონსუარ მუსიოდამ!

(გაგრძელება შემდეგ)

**სიმონ ბერეჟიანი**

---

## ემიგრაციაში

### ბ. გრ. რობაქიძე გერმანიაში

ქართველ საზოგადოებას კარგად მოეხსენება, რომ ბ. გრ. რობაქიძემ გერმანიაში გამოსცა თავისი რომანები, რომელნიც დიდ მოწონებაში არიან და დიდი გასავალიც ჰპოვეს. ზოგი მისი რომანი სხვა ენაზედაც გამოიცა. ამ ჟამად დაიბეჭდა ცნობილი მოაზრის ლეოპოლდ ციგლერის მონუმენტალ. შრომა: „უებერლიფერუნგენ", სადაც ბ. გრ. რობაქიძის შემოქმედების დაფასებას ადგილი აქვს მიძღვნილი; ნახსენებია, სხვათა შორის, ბ. რობაქიძის რომანი „დი გემოერდეტე ზეელე"; ამ რომანში სტალინიც მომქმედი პირია, და ციგლერი სწერს: —მისი (სტალინის) მითიურ სურათს იგი ზარდამცემი ხელოვნებით აღწერს"-ო. შვედურ ჟურნალში „იდუნ" ანკეტის სახით უნდა დაესახელებინათ თანამედროვე ლიტერატურიდან სამი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ნაწარმოები; ცნობილმა მწერალმა ნეანდერ ნილსონმა, ორ სხვა ნაწარმოებთან ერთად, დაასახელა ბ. გრ. რობაქიძის რომანი „დი გემორდეტე ზეელე".

ბ. გრ. რობაქიძე ჰკითხულობს აგრეთვე ლექციებს გერმანიის სხვა და სხვა ქალაქში „საქართველოს მეტაფიზიკური სახის" შესახებ, რომელსაც დიდი და რჩეული საზოგადოება ესწრება.

ამჟამად ბ. გრ. რობაქიძე სწერს ახალ რომანს, რომელიც გერმანულად გამოიცემა.

მოკლე ხანში ბერლინში გამოიცემა ბ. გრ. რობაქიძის „დას ველტბილდ დერ გეორგიერ"; ეს ის მოხსენებაა, რომელსაც ბ. გრ. რობაქიძე გერმანიაში კითხულობდა და დამსწრე საზოგადოება აღტაცებაში მოჰყავდა; ამ წიგნში ნათელყოფილი იქნება საქართველოს რაობა უნივერსალურ ფენებში განზომილი.

### არქიმანდრიტ პროფესორ გრ. ფერაძის მოგზაურობა

ბ. გრ. ფერაძემ მოიარა აღმოსავლეთი და ინახულა ყველა ძველი ქართული მონასტერი; იცხოვრა ჯვარის მონასტერში (პალესტინა), სადაც აღმოაჩინა ჯერ უცნობი ქართული წარწერა, რომლის სურათებიც ფოტოგრაფიულად გადაიღო; ბ. გრ. ფერაძე ბრძანდებოდა სირიაშიც, შუამთის მონასტერში, სადაც დაათვალიერა ძველი ქართულ მონასტრები და დამასკოში შეიძინა 24 ფურცელი ქართული ხელნაწერისა, ეტრატზე ნაწერი — პალიმფსესტო — მეექვსე - მეშვიდე საუკუნისა. თავისი მოგზაურობის აღწერას ბ. ფერაძე პოლონურად ბეჭდავს.

### ვლასა იმნაძის პანაშვიდი

იანვრის 3-ს ლევილის სასაფლაოზე გადახდილ იქმნა სამოქალაქო პანაშვიდი ერთი წლის უკან გარდაცვლებულ ვლასა იმნაძის ხსოვნის აღსანიშნავად. პანაშვიდს დაესწრენ ლევილის საზოგადოება და პარიზიდან ჩამოსული მეგობრები.

### ინჟ. აპ. კობახიძის მოხსენება

გასული წლის ბოლოს ინჟენერ აპოლონ კობახიძემ წაიკითხა მოხსენება მის მიერ განზრახულ ლექციების რიგიდან, რომელიც ეხება საქართველოს სიმდიდრეთა შესწავლა - აღწერას. ეს პირველი მოხსენება, რომელსაც დაესწრო დიდძალი საზოგადოება და მოსმენილ იქმნა დიდი ყურადღებით, შეეხებოდა ქვანახშირის საკითხს. მოხსენება იყო ფრიად შინაარსიანი და ვიმედოვნებთ, ქართველ ინჟინერთა საზოგადოება არ დააყოვნებს მოაწყოს ბ. აპ. კობახიძის შემდეგი მოხსენებანიც.

### ბ. შ. ბერიძის მოხსენება

ნეაპოლის აღმოსავლეთ ენათა ინსტიტუტში იანვრის 22-ს, ჯეორნალე იტალიას ცნობით, პროფ. შალვა ბერიძემ წაიკითხა მოხსენება, რომელსაც დაესწრენ სტუდენტები, პროფესორები და ნეაპოლის ინტელიგენცია; მოხსენების თემა იყო: რუსთაველი. დამსწრე საზოგადოებამ მომხსნებელი მხურვალე ტაშით დააჯილდოვა.

იტალიაში გამოიცა ბ. შ .ბერიძის „ბიბლიოგრაფია ფრანჩეზე დელ ალბანია", რომელიც შეიცავს ბიბლიოგრაფიას კავკასიურ და ევროპის ალბანეთის შესახებ.

### ქართული ისტორიული რუქა

ბ-ნ ს. ციციშვილმა შეადგინა და გამოსცა ქართული გეოგრაფიულ - ისტორიული რუქა.

### წმიდა ნინოს საღამო ბერლინში

იანვრის 27-ს ბერლინის ოპერნჰაუზში გაიმართა წმიდა ნინოს საღამო. საღამო მოწყობილი იყო ჩინებულად. დაიდგა სურათი წმ. ნინოსი; წაკითხულ იქმნა მოხსენება წმ. ნინოზე და აღინიშნა 1600 წ. თავი ქრისტიანობის მიღებისა ქართველი ერის მიერ. გერმანული ორკესტრი შესანიშნავად ასრულებდა ქართულ მუსიკას. გამართულ იქმნა მოხდენილი ქართული ცეკვა; ეროვნულ ტანთსაცმელში გამოწყობილმა ქალებმა სურა - დოქებით ჩამოუარეს სტუმრებს, ყანწებით ღვინო მიართვეს და ტკბილეულობით „დააბერეს". შემოსავალი საგრძნობი დარჩა და ადგილობრივი გაზეთებიც აღტაცებით აღწერენ ამ საღამოს.

### გ. წერეთლის ხსოვნის აღსანიშნავად

თებერვლის 7-ს სამეცნიერო წრემ პარიზში გამართა მოხსენებათა დილა.

### პოლკ. ფრიდონ წულუკიძე ისპანიაში

ჩვენი დარაზმულობის წევრი, სახელოვანი მხედარი და მრავალ ბრძოლებში გამობრძმედილი პოლკოვნიკი ფრიდონ წულუკიძე გასული წლის ოქტომბრის დამლევიდან იბრძვის ისპანეთში ისპანელ ფაშისტ. ფალანგისტებთან ერთად; მან უკვე მრავალ ბრძოლაში მიიღო მონაწილეობა და დიდი პატივიც დაიმსახურა. ვუსურვებთ მას კეთილად დაბრუნებას.

---

## საქართველოში

### ქართული ხელოვნების ისტორია

გამოიცა გ. ჩუბინაშვილის „ქართული ხელოვნების ისტორია". წიგნი წარმოადგენს ავტორის ამ საგანზე ნაშრომის პირველ ტომს და მასში მოცემულია ქართული

ხელოვნების ისტორიის ბევრი ღირსშესანიშნავი მასალა. ავტორი ძველი ქართული ხელოვნების ისტორიას იწყებს მეოთხე საუკუნედან და თანდათანობით გვაცნობს ძველი ქართული ხელოვნების უდიდეს ძეგლებს

**პარიზის გამოფენისათვის**

საქართველოს სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველო ემზადება პარიზის საერთაშორისო გამოფენაზე მონაწილეობის მისაღებად. საქართველოს ნაციონალური თეატრებიდან — სახელმწიფო ოპერა, რუსთაველის სახელობის ორდენოსანი თეატრი, მარჯანიშვილის სახელობის თეატრი, ქართული მოზარდმაყურებელთა თეატრი და ჭიათურის მუშათა თეატრი გამოფენისათვის ამზადებენ თავისი საუკეთესო დადგმის მაკეტებს და ცალკეული სცენების ფოტოსურათებს. — სწარმოებს ქართველ მხატვართა მთელი რიგი სურათების შერჩევა; თავს უყრიან აგრეთვე ხალხური მხატვრული შემოქმედების ექსპონატებს ლითონმჭედვის ქარგვის, ხისა და ძვლის მოჩუქურთმების დარგში და სხ.

**მასალები საქართველოს ისტორიისათვის**

საქ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკამ შეიძინა მეტად მნიშვნელოვანი ხელნაწერი, რომელსაც ეწოდება: მასალები კავკასიის ისტორიისათვის". ხელნაწერი შესდგება ორი დამოუკიდებელი დოკუმენტისაგან: 1). „კავკასიაში რუსეთის ბატონობის ისტორიული ნარკვევი". ნაწილი 1-ი. ტფილისში რუსის ჯარის შემოსვლიდან ციციანოვის დანიშვნამდე. — საქართველოს მდგომარეობა მისი უკანასკნელი მეფეების დროს; საქართველოს დაყოფა და საზღვრები; მოსახლეობა; სახელმწიფოს შემოსავალი; კანონები და მმართველობის სისტემა; საქართველოს კეთილდღეობის დაცემის მიზეზები. გიორგი მე-13-ს მეფობა; დროებითი მთავრობის დაწესება და გენერალ ციციანოვის მთავარმმართებლად დანიშვნა.

მეორე დოკუმენტს ეწოდება: „საქართველოს მოკლე ისტორიული ნარკვევი და მისი მდგომარეობა 1801 წლიდან 1813 წლამდე". შესავალის სახით, 12 გვერდზე, მოცემულია საქართველოს ისტორიის მოკლე მიმოხილვა 1901 წლამდე.

ორივე დოკუმენტი დიდ ისტორიულ ინტერესს წარმოადგენს, რადგან ისინი შედგენილია პირვანდელი საარქივო წყაროების საფუძველზე და, როგორც სჩანს, ისეთი პირების მიერ, რომელთაც ახლო კავშირი ჰქონდათ საქართველოს მმართველობასთან.

საქ. სახ. საჯ. ბიბლიოთეკა შეუდგა აღნიშნული ხელნაწერების შესწავლას და მათი ავტორების გამორკვევას.

**ქართული დეკადა მოსკოვში**

ქართული ოპერა, მომღერალთა, მეჩონგურეთა და მოცეკვავეთა გუნდები ესტუმრენ მოსკოვს. მოსკოვის გაზეთები აღფრთოვანებით სწერენ ქართულ ხელოვნებაზე და ქება - დიდებას ასხამენ ქართულ ხალხურ გენიას...

**ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ლექსიკონი**

მზადდება გამოსაცემად. ლექსიკონში მოთავსდება არა მარტო ის სიტყვები და თქმანი, რომელთაც საშუალო მომზადების მკითხველისათვის განმარტება ესაჭიროება, არამედ ისეთნიც, რომელთაც დროთა ვითარებაში შინაარსი შესცვლიათ და ილიას ნაწერებში არაპირვანდელი მნიშვნელობით იხმარებიან; ლექსიკონშივე მოთავსდება ილიას მიერ გამოყენებული ყველა თქმა, ანდაზა, გამოცანა და სხვა; გეოგრაფიულ სახელთა სრული საძიებელი განმარტებითურთ; რითმების ინდექსი და ილიას მიერ ნასარგებლებ ლიტერატურის წყაროები და სხ.

**„ტფილის სახ. უნივერსიტეტის" შრომები"**

დაიბეჭდა ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომების მეხუთე ტომი, რომელშიაც სხვათა შორის მოთავსებულია შემდეგი ნაშრომები: პროფ. ს. ჯანაშია — საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან მე-13 საუკუნემდე; დოც. პ. გუგუშვილი — შეღავათიანი ტრანსპორტი და ვაჭრობა საქართველოში 1821 — 1831 წ.წ. პროფ. კ. კეკელიძე — რუსთაველი და ნიზამი განჯელი; კ. ჭიჭინაძე — რუსთაველი თუ სარგის თმოგველი; პრ. მელიქსედ-ბეგი — ვეფხის ტყაოსანის ყარაბაღული ვარიანტი და სხვა.

**კოლხიდის მუზეუმში**

ფოთში, ინახება, სხვათა შორის, კაჟისა და ბრინჯაოს იარაღები და ცხენის თავის მოსართავი, რომელიც მე-2 საუკუნეს ეკუთვნის; აგრეთვე თიხის ამფორა ბერძნული ტიპისა ( 1 საუკ.), თიხის კუბო (მე-4—5 საუკ.) და ადამიანის ფეხის მუმია. ყურადღებას იქცევს ვერცხლისა და სპილენძის ფულის კოლექცია, რომელშიც ბერძნულ — რომაული ფული სჭარბობს.

**არქეოლოგიური განძები წალკის რაიონში**

არქეოლოგიურმა ექსპედიციამ წალკის რაიონში აღმოაჩინა ორი სამარხი სოფ. სანტეში და ბარმაქსიზში, რომელიც იმ ხანას ეკუთვნის, როცა აქ ხმარებაში იყო სასანიდების დინასტიის (226 — 632 წ. ქრისტ. წინ) მოჭრილი ირანული ვერცხლის ფული. მეშვიდე საუკუნის ფული იპოვეს საერთო საფლავში, რომელსაც ქრისტიანობის გავლენის ნიშანი არ ეტყობა და ბეჭედი, რომელზეც ძერაა გამოსახული და სხ. შემდეგი ძეგლია ანტიური ეპოქის სამარხი; გარდაცვლილთა გვამები დამარხულია ოთხკუთხ ქვის ყუთებში; მიცვალებულნი მოხრილ მდგომარეობაში არიან; აქვე აღმოაჩინეს ლურჯი შუშის ბეჭდები, რომელზედაც გამოხატულია ნადირობის. ხართან ჭიდაობის და სხ. სურათები; ნაპოვნია აგრეთვე რამოდენიმე ათასი სხვა და სხვა მძივი. აგრეთვე ბრინჯაოს თოხი, თიხის ჭურჭლები ქალდეის ხანისა; ოცდაათი სამაჯური და ძალიან იშვიათი მთელი კავკასიისათვის ერთად ერთი ბრინჯაოს სავარცხელი; განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ბრინჯაოს ფურცლიდან გაკეთებული ფართო ქამარი, რომელზედაც ცხოველები და ფანტასტიური სცენებია გამოსახული. ეს შესანიშნავი ძეგლი, რომელიც 3 ათასი წლისაა, ერთადერთი ნიმუშია მთელს კავკასიაში. სოფელ სანომერის, სანტეს და წინსპარის საზღვარზე — ექვსი მეტრის სიღრმეზე — აღმოჩნდა წითლად შეღებილი ჭურჭელი უდიდესი მეცნიერული მნიშვნელობისა; ეს „შეღებილი კერამიკა", რომელსაც მეცნიერები გაფაციცებით ეძებენ, საქართველოს კერამიკულ მრეწველობას მჭიდროდ უკავშირებს მესოპოტამიისა და სირიის ვაზების უძველეს ტრადიციებს. ექსპედიციამ 23 მასალებით დატვირთული ყუთი გადასცა საქართველოს მუზეუმს.

Le Gérant : M. DURAND.

Redaction: V. NOSADZE, 26, rue Lacretelle, Paris (15e).

Imp. S.N.I.E., 32, rue de Ménilmontant, Paris (20e).